ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ესიფ,ფსბ7 №! ბდკბცბ7 )!§ 1179 (6490) აფცბ5 №) სტსჰბ

## შსს: ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას ვაგრძელებთ!

გვ.2

# ნორა კვიციანი: კოდორის ხეობაში ქალები და ბავშვები უნდა დაეხოცათ“



აი, რას ყვება ერთ-ერთი მფრინავი თავის ჩვენებაში: „როდესაც გვითხრეს, რომ შედით და დაბომბეთ სოფელი, დაბლა მშვიდობიანი მოსახლეობა დავინახეთ. როდესაც პიკირება გავაკეთე, ერთ-ერთ ეზოში ბავშვი გარბოდა, დედამ ხელში აიტაცა და სახლისკენ გაიქცა. ამ სახლისკენ სროლა არ შემეძლო, კედელზე ვისროლე, სენაკის სამხედრო ბაზაზე როგორც კი ჩამოვფრინდი, უკვე იცოდნენ, რომ მე არ ვესროლე სახლებს, ნიკოლეიშვილი მოვარდა უშვერი სიტყვებით, გვლანძღეს, გვაგინეს; გვკითხეს, როგორ მოხდა, რატომ ააცილეთო“.



გვ.3

## ანზორ აბრალავა: ნაცმოძრაობა, როგორც დანაშაულებრივი პარტია, უნდა გაუქმდეს“

„სამართლიანობის დამკვიდრება დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიწყო“



ხელისუფლებამ ფარულ მონოპოლიებს სერიოზულად უნდა მიხედოს“ გვ.2





გვ.4

## ნინო ბურჯანაძე: მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ საქმე 80 ტომიანია“

## 21 წლის ოთო გურგენიშვილმა ბავშვი სიკვდილისგან იხსნა, თვითონ კი დაიღუპა



გვ.7

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## დავით სერგეენკო: კრაკადილის მოხმარება 90%-ით შემცირდა“



გვ.6

# ანზორ აბრალავა: ნაცმოძრაობა, როგორც დანაშაულებრივი პარტია, უნდა გაუქმდეს“

## „სამართლიანობის დამკვიდრება დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიწყო“

მარიკა მჭედლიშვილი

**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ორგანიზაცია „სილიდარობის“ თავმჯდომარე, ყოფილი დეპუტატი ანზორ აბრალავა მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ სააკაშვილისათვის ბრალის წაყენებით დაიწყო საზოგადოების მოთხოვნის შესრულება სამართლიანობის დამკვიდრებასთან დაკავშირებით. ანზორ აბრალავას ეჭვი არ ეპარება, რომ სააკაშვილს სასჯელის მოხდაც მოუწევს. მისი აზრით, პროცესი გასაგრძელებელია, რასაც ნაცმოძრაობის შეფასება და აკრძალვაც უნდა მოჰყვეს. პრემიერ ღარიბაშვილს ამ და სხვა საკითხებშიც გაბედულება მართებს.**



***— სააკაშვილის წინააღმდეგ მამხილებელი მასალები დიდი ხანია, არსებობს. აქამდე რატომ არ მიეცა ამას მსვლელობა?***

— იმიტომ, რომ საამისოდ აზრი უნდა მომწიფებულიყო. საქართველოს საზოგადოება სამართლის დამყარებას, დიდი ხანია, მოითხოვს, მაგრამ ეს საკითხი მარტო ქვეყნის შიგნით კი არ იწვევს დიდ ინტერესს, არამედ, საქართველოს გარეთაც. სამწუხაროდ, სააკაშვილსა და მის გუნდს, ნაცმოძრაობის პოლიტიკას, საზღვარგარეთ მხარდამჭერები ჰყავდა. საჭირო გახდა გარკვეული გრავიტაციების დაძლევა. ჩემი აზრით, უცხოელი პროკურორების ჩამოსვლამ პროცესები დააჩქარა. ამ ხალხის წინააღმდეგ მტკიცებულებები ძნელი მოსაპოვებელი არ არის. ამისთვის გამოდგება სააკაშვილის ღია და საჯარო გამოსვლები, მისი დაუფარავი მოქმედებები. ეს ყველაფერი იძლევა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის აღძვრის საფუძველს. სამწუხაროდ, საკითხი ასე დგას (ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო) — კანონი და სასჯელი მოქმედებს ყველასათვის, სააკაშვილისა და მისი ჯგუფის გარდა. არ ვიცი, საიდან მოდის ასეთი მარგინალური აზროვნება. ამ პირების მიმართ ბრალის წაყენება, ანუ სამართლიანობის დამკვიდრება, დაგვიანებით, მაგრამ, მაინც დაიწყო. ეს კარგია და აუცილებელი.

***— ხალხს ეჭვი ეპარება, რომ სააკაშვილს დააკავებენ...***

— მე მგონია, რომ სააკაშვილს დააკავებენ. თუ არ ეპატია ადოლფ ჰიტლერს, პინოჩეტს, მილოშევიჩს, კარაჯიჩს, რატომ უნდა ეპატიოს სააკაშვილს?

***— სააკაშვილისა და მისი პარტიის უცხოელი მხარდამჭერები ახსენეთ. აშშ-ს ოთხი სენატორი ახლაც უჯავრდება საქართველოს ხელისუფლებას, რომელმაც გაბედა სააკაშვილის პასუხისგებაში მიცემა. მათი თქმით, საქართველოს ფოკუსირება მომავალზე უნდა გაკეთებინა...***

— მსოფლიო მარტო ოთხი სენატორი არ არის. ეს ოთხი სენატორი ღიად უჭერს მხარს სააკაშვილს. ჩვენ დანარჩენებს მოვუსმინოთ. ჯერ საფუძვლიანად არ ვიცით საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო პროკურორების აზრი. ნურავის ეგონება, რომ ასეთი საკითხები ასე მარტივად წყდება. საზოგადოებაში არსებობს სამართლის განხორციელების მოთხოვნილება. ვიღაცა, თუნდაც, სენატორი, რომ რაღაცას იტყვის, ეს არანაირი არგუმენტი არ არის. არც იმას უნდა მიექცეს ყურადღება, რას ამბობენ ბრალდებული ნაცმოძრაობის წევრების ადვოკატები.

***— ნაცმოძრაობის ადვოკატები, მართლაც, ბევრ მითქმა-მოთქმას იწვევენ...***

— დიახ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ არის ადვოკატთა ეს ჯგუფი. ეს არიან პირები, რომლებიც ადეიშვილისა და მერაბიშვილის უწყებაში მსახურობდნენ და ახლა ადვოკატის მანტია გადაიცვეს. ანუ ისინი თავისი ბოლოდროინდელი აქტიურობით საკუთარ თავსაც იცავენ. არ გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთი ასეთი ადვოკატი ბოლოს საბრალდებო სკამზეც აღმოჩნდეს თავისი წარსული საქმიანობისათვის.

***— ამ პროცესების მიუხედავად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საზოგადოების ნების საწინააღმდეგოდ, რჩება მთავარ ოპოზიციურ ძალად...***

## „ხელისუფლებამ ფარულ მონოპოლიებს სერიოზულად უნდა მიხედოს“

— ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მთავარი ოპოზიციური კი არა, მთავარი კრიმინალური ძალაა. ეს უნდა დაზუსტდეს. არ შეიძლება, არასწორი ტერმინები დაამკვიდრონ და მერე ამ ტერმინებს ამოეფარონ. ნაცმოძრაობა კრიმინალური ძალაა, რომელსაც ჰგონია, რომ რასაც ის აკეთებდა, სწორი იყო. ამაშია მისი წარმომადგენლების უბედურება. საერთოდ, მგონია, რომ, ნაცმოძრაობა, როგორც დანაშაულებრივი პარტია, უნდა გაუქმდეს. ეს უნდა იყოს გაკვეთილი ყველასათვის, ვინც მომავალში მსგავს რამეს ჩაიფიქრებს.

***— წინა მმართველი პარტიის შეფასებაც საჭიროა?***

— დიახ. ამას ძალიან დიდი ნებისყოფა, დაფიქრება და მეთოდური სვლა სჭირდება. ჩვენ ხომ ამ სამყაროში მარტო არა ვართ! ეს წვრილმანი საქმე არაა. ნაცმოძრაობას პატარა დანაშაული არ ჩაუდენია. მის წინააღმდეგ უამრავი მამხილებელი მასალა და მტკიცებულებაა. ნაცმოძრაობის ლიდერების საჯარო გამოსვლები, ფაქტიურად, თვითაღიარებაა. მათ რომ მოუსმინო, გამოდის, რომ ხალხი თვითონ ისახიჩრებდა თავს, საკუთარი ნებით მიდიოდა ციხეში, ადამიანები თვითონ იხოცავდნენ თავებს. ნაციონალური მოძრაობა კი განზე იდგა და სტატისტის ფუნქციას ასრულებდა. ახლა ნაცმოძრაობა ტრაგედიას უწოდებს სააკაშვილის მიმართ ბრალის წაყენებას. სააკაშვილისა და მისი გუნდისთვის ეს მართლაც ტრაგედიაა. ხოლო ქვეყნისათვის სამართლიანობას ნიშნავს. სამართლიანობის დამკვიდრებას ხალხი ორი წელიწადია, მოითხოვს.

***— ხალხი ნაცმოძრაობის დამნაშავე ლიდერების დასჯას დიდი ხანია, მოითხოვს. თუმცა, ჩვენ არაერთხელ მოვისმინეთ მმართველი კოალიციის წამყვანი ფიგურების (უფრო მეტად, რესპუბლიკელების) განცხადებები იმის შესახებ, რომ ქართული დემოკრატიის მთავარი ამოცანა ნაცმოძრაობის გადარჩენაა. ამასთან, პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი ნაცმოძრაობის მიმართ მკაცრ განცხადებებს აკეთებს...***

— მართლაც, ამ საკითხში რესპუბლიკური პარტიისა და ირაკლი ღარიბაშვილის შეხედულებები ერთმანეთს არ ემთხვევა. ვფიქრობ, რომ ღარიბაშვილის პოზიცია გაიმარჯვებს. რესპუბლიკელები რომ ასე ლაპარაკობენ, ისინი გარკვეულ პერიოდში ნაცმოძრაობის ბნელი საქმეების თანამონაწილენი იყვნენ. საერთოდაც, საქართველოს რესპუბლიკური პარტია ყველა იმ უბედურების თანამონაწილეა, რაც 1991 წლიდან ხდება. 2003 წლის შემდგომაც, რესპუბლიკელები მაშინდელი პოლიტიკის აქტიური გამტარებლები იყვნენ. ახლა უნდათ, განზე გადგნენ. რესპუბლიკელები ისე იქცევიან, თითქოს ნაცმოძრაობას არც კი იცნობდნენ. ამ დროს, ნაცმოძრაობის კოალიციაში შედიოდნენ და ძალიან აქტიურები იყვნენ.

***— თუმცა, მერე ნაცმოძრაობას განუდგნენ და გამოეყვნენ...***

— ასე შეიძლება ნებისმიერმა დამნაშავემ იმართლოს თავი და თქვას, თავიდან კაცის კვლაში ვმონაწილეობდი და მერე წავედიო. რაც მთავარი და არსებითია, იმაში რესპუბლიკურ პარტიას მიღებული აქვს მონაწილეობა. პოლიტიკის საოცრებები სწორედ ისაა, რომ ასეთი პოლიტიკოსები მაინც ახერხებენ ხელისუფლებაში მოსვლას. საზოგადოებას რესპუბლიკური პარტიის მიმართ მკაცრი განაჩენი აქვს გამოტანილი. ხალხმა ხმა მისცა ბიძინა ივანიშვილს. რესპუბლიკელები მისი წყალობით მოხვდნენ პარლამენტში. რესპუბლიკელების მიმართ ხალხის დამოკიდებულება ცნობილია და ამას დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდება. ირაკლი ღარიბაშვილის დამოკიდებულება მთელი რიგი საკითხებისადმი სწორი და სამართლიანია. ამას მოწმობს მის მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერაც. ამ საკითხებში პირადად მე მისი პირველი მხარდამჭერი ვარ. თუ ნორმალური სახელმწიფოს აშენება გვინდა, გარკვეულ სფეროებში მკაცრი ზომებია გასატარებელი. უნდა ავაშენოთ ქვეყანა, სადაც დაცული იქნება ადამიანის უფლებები, ასევე, სახელმწიფოს ინტერესები.

***— ადრეც აცხადებდით, რომ ხელისუფლებამ მცოდნე ადამიანები უნდა მიიზიდოს. შეინიშნება ამ მხრივ ცვლილებები?***

— ამ კუთხით მეტი სითამამეა საჭირო. არსებობს გარემოცვა, მაგრამ საერთო საქმისათვის ღარიბაშვილმა უნდა გაარღვიოს გარემოცვის ზღუდეები. ქვეყნის სამსახური ხელფასთან არ არის დაკავშირებული. ყველა ადამიანი თავის საქმიანობას ნამდვილად არ უკავშირებს მაღალ ხელფასს. როცა ქვეყანა გიყვარს, მისი განვითარება გინდა, შეიძლება ისედაც გაუწიო გარკვეულ პირებს კონსულტაცია, რჩევა, ემსახურო სახელმწიფოს და გამოხატო თანაგრძნობა ხელისუფლებისადმი. განხილვებს, დისკუსიებს, უფრო ფართო ხასიათი უნდა მიეცეს. წრე უნდა გაფართოვდეს. მიმაჩნია, რომ ეკონომიკაში ძალიან ნელა მიდის ცვლილებები. ადამიანების ცხოვრებაში ძვრებს ვერ ვხედავთ. ამას უკავშირდება ადამიანის თავისუფლებაც და კეთილდღეობაც. ამ პრობლემების მოგვარებაში საჭიროა შესაბამისი ცოდნით შეიარაღებული ადამიანების აქტიურად ჩართვა. სხვანაირად სახელმწიფოები არ შენდება. ამის გარეშე წარმატებისათვის არ მიუღწევია არც ერთ ძლიერ სახელმწიფოს.

***— არც ფარულ მონოპოლიებთან ბრძოლის მიმართულებითაა ცვლილებები?***

— სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ძვრა არ არის. ფარული მონოპოლიები ქვეყანაში ისევ არსებობს. ამ სფეროში სახელმწიფოს მკაცრად განსაზღვრული კურსი უნდა ჰქონდეს. ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ამ კურსის არსი ასეთი უნდა იყოს — „საქართველო მონოპოლიების გარეშე“. იგულისხმება არა ბუნებრივი, სახელმწიფო მონოპოლიები, არამედ, ფარული მონოპოლიები. ფარული მონოპოლიები არ უნდა იყოს. კონკურენცია უნდა განვითარდეს. უნდა შევქმნათ კონკურენტული გარემო. ამ გარემოში ადამიანს არ უნდა ჰქონდეს არანაირი ბარიერი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის. სამწუხაროდ, ახლა ეკონომიკური საქმიანობა დიდ დაბრკოლებებს აწყდება. ეს დაკავშირებულია ურთიერთობების დამყარებასთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. ეკონომიკურ საქმიანობას აძნელებს ზედმეტი ბიუროკრატიული სტრუქტურები, მაგალითად, ღვინის, სასურსათო პროდუქტების ასოციაციები. ამ ასოციაციებში გაწევრიანება ნებაყოფლობითი უნდა იყოს და არა — თავსმოხვეული. ეს რთული თემაა, მაგრამ, პოლიტიკური ნების არსებობის პირობებში, ამ პრობლემის მოგვარება მოკლე ხანში შეიძლება. ეს სექტორი მთლიანად გამჭვირვალე უნდა გახდეს. ბიუროკრატიული აპარატი უნდა შესუსტდეს და მოქალაქეებს უნდა მიეცეს თავისუფალი მოქმედების საშუალება.

# შსს: ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას ვაგრძელებთ!

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, უწყება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას აგრძელებს და საერთაშორისო მხარდაჭერით, ამ მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებას ახორციელებს.

შსს-ს ინფორმაციით, პრეზიდენტის 2013 წლის 15 მარტის ბრძანებულებით, საქართველოს მთავრობამ, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეროვნული სამოქმედო გეგმა 2013-2014“ შეიმუშავა. სამოქმედო გეგმის შემუშავებაში სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, პარლამენტის წევრებმა და საქართველოში აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. სამოქმედო გეგმა ოთხ ძირითად პრინციპს: პრევენცია, დაცვა, პარტნიორობა, სამართლებრივი დევნა გამოხატავს.

„ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით საქართველომ საერთაშორისო ხელშეკრულებები 22 ქვეყანასთან (სომხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელორუსი, ეგვიპტე, ესტონეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, ისრაელი, იტალია, ყაზახეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, მოლდოვა, პოლონეთი, რუმინეთი, თურქეთი, უკრაინა, ბრიტანეთი და უზბეკეთი) გააფორმა. 2014 წლის იანვარ-ივლისში შსს-მ 7 საერთაშორისო შეთანხმება დადო, 2013 წელს კი 15 შეთანხმება გაფორმდა, რაც რეკორდული მაჩვენებელია. შედარებისთვის, 2011 და 2012 წლებში გაფორმდა 9 შეთანხმება, 2010 წელს — 4, 2009 წელს — 1, 2008 წელს კი — არც ერთი.

2014 წლის 24 იანვარს, ლონდონში ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სააგენტოს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად პროექტს „აჭარისა და ქვემო ქართლის რეგიონში ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაციისთვის საჭირო შესაძლებლობების გაძლიერება 2013-2014“ ახორციელებს. პროექტი აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს მიერაა დაფინანსებული. პროექტის ფარგლებში, აჭარის რეგიონში სპეციალისტთა ჯგუფი შეიქმნა, რომლის შემადგენლობაც ითვალისწინებს 7 მოქმედი გამომძიებლის და 5 პროკურორის ოპერატიულ თანამშრომლობას აჭარის რეგიონში ტრეფიკინგის წანაღმდეგ მიმართულ საქმიანობაში. სპეციალისტთა ჯგუფის მიერ ხდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პროაქტიული გამოვლენა, ეფექტური გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა. ასევე იგეგმება Task Force-ის შექმნა ქვემო ქართლის რეგიონში“, -ნათქვამია განცხადებაში.

შსს-ს ინფორმაციით, 2014 წლის 29 აპრილიდან 2 მაისამდე ბათუმში გამომძიებლებისა და დეტექტივებისთვის ტრეფიკინგის საკითხებზე ტრენინგი გაიმართა. მსგავსი სახის ტრენინგები შსს-ს თანამშრომლებისთვის სისტემატურად იმართება. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ტრეფიკინგის საკითხებს რადიოგადაცემა „კანონის ფარგლებში“ მიეძღვნა.

უწყების ინფორმაციითვე, 2013 წელს სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კუთხით მოქმედი კანონმდებლობის გადასინჯვა და არსებული ხარვეზების გამოსწორება დაევალა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის ცვლილებების პროექტი შემუშავდა, რომელიც ადამიანებით ვაჭრობას (ტრეფიკინგს) ეხება. ცვლილებები ძალაში 2014 წლის ივნისში შევიდა.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ იუსტიციის საბჭომ სახელმძღვანელოები შექმნა, რომლებიც გამომძიებლებსა და პროკურორებს საშუალებას მისცემს ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირება და ტრეფიკინგის შემთხვევებისთვის სათანადო სამართლებრივი კვალიფიკაციის მინიჭება მოახდინონ. სახელმძღვანელო ყურადღებას ისეთ საკითხებზე ამახვილებს, როგორიცაა: ტრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ტრეფიკინგთან დაკავშირებული საკითხები, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამოძიების სტანდარტები, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაკითხვის სტანდარტები და ა.შ. სახელმძღვანელოები 2014 წლის თებერვალში დამტკიცდა.

ნიუსორესი

ახალი თაობა
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ნორა კვიციანი: კოდორის ხეობაში ქალები და ბავშვები უნდა დაეხოცათ“

## რა სკანდალური ჩვენება მისცეს პროკურატურას სამხედრო მფრინავებმა

შორენა მარსაგიშვილი





ახლო მომავალში მიხეილ სააკაშვილის და ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ კიდევ ერთი სარჩელი შევა. ქართველმა სამხედრო მფრინავებმა უკვე მისცეს ჩვენება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უბრძანეს 2006 წლის ივლისში კოდორის ხეობის დაბომბვა.

რატომ არ შეასრულეს მფრინავებმა ეს ბრძანება, რაზე უნდა აგონ პასუხი სააკაშვილმა, ოქრუაშვილმა და მერაბიშვილმა, რას ითხოვს კოდორის ხეობის მოსახლეობა? ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტპატიმარი ნორა კვიციანი ესაუბრება.

**ნორა კვიციანი:**

— სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას იმდენი საშინელება აქვთ ჩადენილი, თუ რამე გამაკვირვებდა, აღარ მეგონა. თუმცა, რაც ცოტა ხნის წინ გავიგე და რასაც მალე საზოგადოება შეიტყობს, კინაღამ ჭკუიდან გადამიყვანა. ესენი ვინ ყოფილან? ამათზე დიდი მტერი საქართველოს არ ჰყოლია. 2006 წელს კოდორში რაც მოხდა, ყველამ კარგად იცის. მგონი, საქართველოში ეჭვი აღარავის ეპარება იმაში, რომ იქ არანაირ ამბოხს არ ჰქონია ადგილი. ის, ვინც ეს პროვოკაცია მოაწყო, მალე ჩაჯდება იქ, სადაც ჩემი ძმა ემზარ კვიციანი უდანაშაულოდ ჩასვეს. აგვისტოს ომის დროს რუსები ისე შევიდნენ ხეობაში, ერთი ადამიანი არ მოუკლავთ, მშვიდობიანი მოსახლეობისთვის ცეცხლი არ გაუხსნიათ. ამათ კიდევ მშვიდობიანი მოსახლეობის ამოწყვეტა უნდოდათ. ჩვენი მფრინავების თავგანწირვა რომ არა, ხეობაში ქვა ქვაზე აღარ დარჩებოდა. ამის შესახებ მათ უკვე მისცეს პროკურატურას ჩვენება და სულ მალე ყოფილი ხელისუფლების პირველი პირების მიმართ შევა სარჩელი.

***— ვინ აპირებს ამ სარჩელის შეტანას?***

— კოდორის ხეობის მოსახლეობა. ისინი შევიტანთ სარჩელს, ვისი განადგურებაც ასე სურდა სააკაშვილსა და ოქრუაშვილს. ჩვენ დღეს რომ ცოცხლები ვართ, იმ მფრინავების დამსახურებაა. მინდა მათ კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა. მადლობა მინდა გადავუხადო იმისთვისაც, რომ მათ სიმართლის თქმა გადაწყვიტეს. იმედი მაქვს, ამ საქმის გამოძიების შემდეგ ხალხი საბოლოოდ მიხვდება თუ ვისთან გვქონდა საქმე.

***— მოდით, უფრო დაწვრილებით გვითხარით, რა ხდება.***

— 2006 წელს, მაშინდელი ხელისუფლების პირველი პირების ბრძანებით, კოდორის ხეობა უნდა დაებომბათ. ბრძანება ასეთი იყო: ხეობაში ქვა ქვაზე არ უნდა დაეტოვებინათ.

***— რატომ ან ვინ გასცა კონკრეტულად ეს ბრძანება?***

— რატომ გაიცა ეს ბრძანება, ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. ამ ბრძანების გაცემისთვის პასუხი ირაკლი ოქრუაშვილმა, ვანო მერაბიშვილმა, ლევან ნიკოლაიშვილმა და მიხეილ სააკაშვილმა უნდა აგონ. მათ მფრინავებს მოატყუეს, რომ ხეობაში მოსახლეობა აღარ იყო და იქაურობა უნდა დაებომბათ. არადა, ყველა იქ იყო. მფრინავები წავიდნენ დავალების შესასრულებლად, მაგრამ როცა ნახეს, რომ იქ ხალხი იყო, უარი თქვეს დავალების შესრულებაზე. ამის გამო მათ მწარედ აგებინეს პასუხი.

***— თქვენ ჯიმი მაისურაძის შვილ იმედო მაისურაძეზე საუბრობთ? რომელიც ერთი კვირის მანძილზე ოქრუაშვილის ბრძანებით ჰყავდათ დაპატიმრებული?***

— იმედოზეც და სხვებზეც. ამ ბიჭებმა მართლა დიდი გმირობა ჩაიდინეს. საკუთარი სიცოცხლის ფასად უამრავი ადამიანი გადაარჩინეს. მათ ხალხი არ დახოცეს, ამიტომაც დაიჭირეს და სასტიკად აწამეს. ეს ბიჭები ბეწვზე არიან გადარჩენილები. მათ უკვე მისცეს ჩვენება. როგორც ადვოკატმა მითხრა, ეს ბიჭები 3 საათის მანძილზე აძლევდნენ გამომძიებელს ჩვენებას.

***— რა უთხრეს მათ გამოძიებას?***

— დეტალები სასამართლოზე გაირკვევა. მე მხოლოდ იმის მოყოლა შემიძლია, რაც ემზარ კვიციანის ადვოკატმა რეზო კახნიაურმა გამოაქვეყნა. აი, რას ყვება ერთ-ერთი მფრინავი თავის ჩვენებაში: „როდესაც გვითხრეს, რომ შედით და დაბომბეთ სოფელი, დაბლა მშვიდობიანი მოსახლეობა დავინახეთ. როდესაც პიკირება გავაკეთე, ერთ-ერთ ეზოში ბავშვი გარბოდა, დედამ ხელში აიტაცა და სახლისკენ გაიქცა. ამ სახლისკენ სროლა არ შემეძლო, კედელზე ვისროლე, სენაკის სამხედრო ბაზაზე როგორც კი ჩამოვფრინდი, უკვე იცოდნენ, რომ მე არ ვესროლე სახლებს, ნიკოლეიშვილი მოვარდა უშვერი სიტყვებით, გვლანძღეს, გვაგინეს; გვკითხეს, როგორ მოხდა, რატომ ააცილეთო“. ახლა მითხარით, ამის პატიება როგორ შეიძლება? როგორ შეიძლება, ამის გამო სააკაშვილი და ოქრუაშვილი არ დასაჯონ. ყველაფრისთვის უნდა აგონ პასუხი, ყველაფრისთვის! სააკაშვილი ასეთი ბრძანებების გაცემას მიჩვეულია. მან თავისი პირით აღიარა, რომ 2004 წელს ეცერის დაბომბვის ბრძანება გასცა. აფრასიძეების დახოცვაზეც უნდა მოეთხოვოს პასუხი.

***— ამ საქმის ხელახალი გამოძიება, ჯერ მგონი, დაწყებულიც არ არის.***

— დაიწყება. ამ საქმეზე სააკაშვილმა საკუთარი თავის წინააღმდეგ მისცა ჩვენება. ვიღაცა მეტყვის, რომ იქ ვიღაც უნდა დაეჭირათ. კი ბატონო, დაიჭირე თუ დასაჭერია, მაგრამ სოფლის გადაწვა და ოჯახის ამოწყვეტა, რომელ კანონში წერია? მაშინ რაც ამათ აფრასიძეების წინააღმდეგ ჩაიდინეს, არის უპატიებელი.

***— თქვენ ამბობთ, რომ მთელი ხეობა უნდა დაებომბათ და ქვა ქვაზე არ დაეტოვებინათო. რაში აწყობდათ ეს? ხომ ისედაც შემოსულები იყვნენ ხეობაში?***

— ეტყობა, რაღაცაში აწყობდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ბრძანებას არ გასცემდნენ. მფრინავები მოატყუეს, მოსახლეობა აღარ არისო. მათ მსხვერპლი და ნგრევა სჭირდებოდათ. ამას მერე ან ემზარის დააბრალებდნენ, ან რუსებს. ასეთ რაღაცებში მაგრები იყვნენ. ამის გამო სააკაშვილი ჰააგის ტრიბუნალმა უნდა გაასამართლოს. ამერიკელები იმის გამო უნდა შეშფოთდნენ, ასეთ მანიაკებს რომ უჭერდნენ მხარს. მე ყველაფერს ვერ მოვყვები, მაგრამ როგორც ადვოკატი მეუბნება, მფრინავების ჩვენება ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს.

***— მფრინავებს ამ ჩვენების მიცემა ცოტა ხომ არ დააგვიანდათ?***

— მთავარია, რომ მათ სიმართლის თქმა გადაწყვიტეს. რაც იოლი ნამდვილად არ იყო. ისინი საშინლად აწამეს და ვინ იცის, რამდენიმე მათგანი შესაძლოა მოკლეს კიდევაც.

***— ვინ მოკლეს?***

— აგვისტოს ომის დროს რამდენიმე მფრინავი დაიღუპა. ეჭვი მაქვს, რომ ესენი ის მფრინავები იყვნენ, რომლებმაც უარი თქვეს დანაშაულებრივი ბრძანების შესრულებაზე. ჩვენ მათთან ვალში ვართ. ხეობაში დიდი რაოდენობით იარაღი იყო და ერთი ჭურვიც რომ ჩამოვარდნილიყო, ყველაფერს ჰაერში ასწევდა.

***— რა იარაღზე საუბრობთ?***

— იმ იარაღზე, რომელიც გია ბარამიძემ შემოიტანა. ხეობაში უამრავი იარაღი იყო. ზოგი აფხაზეთის ომის დროს დარჩა იქ. ძალიან დიდ უბედურებას არის ხალხი გადარჩენილი. ასე გადაუხადა სააკაშვილმა მადლობა იმ ხალხს, რომლებიც წლების მანძილზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდნენ. ჩვენ კოდორის მოვლენების ხელახალ გამოძიებას მოვითხოვთ. სწორედ ამ გამოძიებამ უნდა დაადგინოს თუ რა მოხდა სინამდვილეში. პროცესი უკვე დაწყებულია. პროკურატურამ ჩემს ძმას 9 ბრალდებიდან 7 უკვე მოუხსნა. მათ შორის გაეროს დამკვირვებლების გატაცებაც, თაღლითობაც. დარჩენილი 2 ბრალდებაც გაბათილდება. ვინმემ ამიხსნას, რატომ იყო ემზარის ქმედება ამბოხი? ის შეეწინააღმდეგა ხეობის დაკარგვას. მის დანაშაულებას ჯობია ის გაარკვიონ, როგორ და რა მიზნით შემოიყვანა ოქრუაშვილმა ხეობაში ჯარი.

***— უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნაშიც ედება თქვენს ძმას ბრალი. საუბარი ბატალიონ „მონადირეზეა“, რომელიც წლების მანძილზე თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო. აქედან გამომდინარე საინტერესოა, რატომ არის „მონადირე“ უკანონო შეიარაღებული ფორმირება?***

— მეც ეგ მაინტერესებს. ვინმემ ამიხსნას, როგორ შეიძლება თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ფორმირება უკანონო იყოს? ბატალიონის წევრები ჩვეულებრივად იღებდნენ ხელფასს, უკანონო ფორმირებებს კი ხელფასს არ უხდიან და ასეც რომ არ ყოფილიყო, ერთი მითხრან, რა უკანონობა ჩაიდინა „მონადირემ“? თუ სამშობლოს დაცვაა უკანონობა, მაშინ გვითხრან და ყველანი ციხეში გაგვიშვან.

***— უკანონოდ „მონადირეს“ ალბათ იმიტომ თვლიან, რომ ის ვარდების რევოლუციის შემდეგ გააუქმეს.***

— მთელი უბედურება ეგაა, რომ გააუქმეს. ეს გადაწყვეტილება ირაკლი ოქრუაშვილმა მიიღო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მას თავდაცვის მინისტრის პოსტი ჩააბარეს, მისი წინამორბედი გია ბარამიძე პირიქით, თანადგომას გვპირდებოდა. ის ხეობაში ჩამოვიდა და სახალხო ყრილობას დაესწრო, სადაც გვითხრა, გმირი ხალხი ხართ, გვერდით ამოგიდგებით და თქვენთან ვიქნებით. ბარამიძემ ისიც გვითხრა, თქვენ წინააღმდეგ პროვოკაცია მზადდება და მაგას არ დავუშვებო.

***— რა პროვოკაციაზე საუბრობდა?***

— არ ვიცი. ეს თავად ბარამიძეს უნდა ჰკითხოთ. ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ბარამიძემ რამდენიმე მანქანით ტყვია-წამალი და ტაბელური იარაღი შემოზიდა და ყველაფერი გაგვიფორმა. ფორმები, სურსათი შემოიტანეს და ყველაფერი ოჯახ-ოჯახ დარიგდა, იარაღის მეორე ნაწილი კი საწყობებში შეინახეს. ამ საწყობის გასაღები მე მქონდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, ჭურვი ამ საწყობს რომ დასცემოდა. მხარდაჭერას ალასანიაც დაგვპირდა. ალბათ გახსოვთ, ის „მონადირის“ გაუქმების გამო ირაკლი ოქრუაშვილსაც დაუპირისპირდა. მზად იყო ბატალიონი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსთვის დაექვემდებარებინა. იმ პერიოდისთვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ეკავა, მაგრამ არ აცალეს, ის სააკაშვილის დავალებით გაეროში გადაიყვანეს საქართველოს ელჩად.

***— თქვენს ძმას ალასანიასთანაც აქვს პრეტენზიები და კოდორის ჩაბარებაში მასაც ადანაშაულებს.***

— თავიდან ემზარი მის მიმართ დადებითად იყო განწყობილი. ერთხელ მისთვის პირობა მიუცია, არ ინერვიულო, კოდორის დაცვაზე მე ვიზრუნებო.

***— ეს საუბარი როდის შედგა?***

— ვარდების რევოლუციის შემდეგ ყველა რწმუნებული შეცვალეს. მარტო ემზარი დატოვეს თანამდებობაზე. ცოტა ხნის შემდეგ ისიც გაუშვეს. ჩემს ძმას ალასანიასთვის უთქვამს, აქედან რომ მიშვებთ, ხეობას ვინ დაიცავსო. ალასანიას თავის თავზე აუღია ხეობის დაცვა. სამწუხაროდ, ვერაფერს გახდა და ემზარის შიში გამართლდა. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ამიტომ მოიშორეს ჩემი ძმა. ამიტომ გააუქმეს „მონადირე“. ეს ამბები გამოიძიონ კარგად და გამოჩნდება, ვინ არის ნამდვილი მტერი! როგორც უკვე გითხარით, ძალიან მალე ჩვენ ყოფილი ხელისუფლების პირველი პირების წინააღმდეგ სარჩელს შევიტანთ. მათ ბევრ კითხვაზე მოუწევთ პასუხის გაცემა. პირველ რიგში უნდა გვითხრან, რატომ გამოატარეს ისინი რუსებმა. ხეობაში მოსახვედრად მათ რუსი სამშვიდობოების საგუშაგოები უნდა გაევლოთ. 1994 წელს გაფორმებული შეთანხმების შემდეგ რუსები ხეობის მიმართულებით იარაღიან ხალხს არ ატარებდნენ. რუსებს რომ მოენდომებინათ, იქ ვერავინ შემოადგამდა ფეხს.

***— რუსებს რაში აწყობდა ქართული საჯარისო შენაერთების შეშვება?***

— შეთანხმება იყო.

***— რა შეთანხმება?***

— ხეობის ჩაბარება. ჩვენ რომ იქ ვყოფილიყავით, 2008 წელს ხეობა არ დაიკარგებოდა. ამიტომ გააქციეს ემზარი, ამიტომ გააუქმეს „მონადირე“, ამიტომ ჩამსვეს ციხეში. ისე კარგად ვართ გადარჩენილები. უფალმა ინება ჩვენი გადარჩენა, თორემ ისე მოგვიშორებდნენ, როგორც ასეულობით ადამიანი მოიშორეს. კოდორის ამბებს შეეწირა სავარაუდოდ დავით ცინდელიანი. ამ ბიჭის ამბავი ყველასთვის არის ცნობილი.

***— კოდორთან რა შუაშია ის?***

— როგორც ამბობენ, მას ომის დროს უშიშროების თანამშრომლებთან უთანხმოება მოუვიდა. დათოს უთქვამს, ხეობა უბრძოლველად როგორ ჩააბარეთო, ამის შემდეგ აიყვანეს ის მოსმენებზე და შემდეგ მოკლეს კიდევაც.

***— თქვენ იცნობდით ცინდელიანს?***

— კი. ის ჩვენი ბადიში იყო. ოჯახი გამწარებული ეძებდა. სამართალდამცავები ეუბნებოდნენ ვიპოვითო, ამ დროს კი თავად მათ მიერ იყო მოკლული. ასე მოკლეს უამრავი ადამიანი. ვინც მათთვის მიუღებელი იყო, უბრალოდ ხოცავდნენ. მათ რამდენჯერმე სცადეს ჩემი შვილის მოკვლაც. ბაჩო ხეობაშია და იქ შეუგზავნეს მკვლელები. უფლის წყალობით გადავრჩით და ახლა აუცილებლად დავამტკიცებთ სიმართლეს. ყველამ უნდა გაიგოს, რა მოხდა 2006 წელს კოდორის ხეობაში. ყველამ უნდა იცოდეს, ვინ და რატომ ჩააბარა ხეობა.



## დეპუტატ გია თევდორაძის ძმა პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს

საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი წევრის, ქუთაისის ყოფილი მერის გია თევდორაძის ძმა ბექა თევდორაძე, დღეს 12 საათზე, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში მოწმის სახით დაკითხვაზეა დაბარებული.

პროკურატურაში ჯერჯერობით არ აკონკრეტებნ თუ რა საკითხზე მიმდინარეობს გამოძიება. გია თევდორაძე ფაქტს პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აფასებს და აცხადებს, რომ პრემიერ-მინისტრი და მთავრობა მისი ოჯახის მიმართ მას შემდეგ გააქტიურდა, რაც მან ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ მწვავე შეკითხვა დასვა.

გია თევდროაძრის თქმით, პროკურატურა მის ძმას იმ საწვავის ტალონის შესახებ ედავება, რომელიც მისი მერობის პერიოდში გაიცა. მისი თქმით, ბრალდება აბსურდულია.

„მას არცერთ სახელმწიფო სამსახურში არ უმუშავია და არც ბიზნესით ყოფილა დაკავებული. იმ გამომძიებელს, რომელმაც ჩემს ძმას დაურეკა, პირადად ვესაუბრე. ამ დაკითხვის საფუძველი არის ის, რომ ჩემი ძმის ყოფილ მანქანაში, რომელიც წელიწადნახევარია ჩემს ძმას აღარ ეკუთვნის, პროკურატურა ამტკიცებს, რომ მერიის კუთვნილი ტალონით ჩასხმულა საწვავი“,-განაცხადა თევდროძემ.

ნიუსპრესი

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

ქ-ნი მარიამი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

# ნინო ბურჯანაძე: მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ საქმე 80 ტომიანია“

შორენა მარსაგიშვილი



მიხეილ სააკაშვილის გარშემო კვლავ დიდი ამბებია. მისთვის ბრალის წარდგენის გამო დასავლეთი შეშფოთებულია. საქართველოს ხელისუფლება კი აცხადებს, რომ კანონის წინაშე ყველა თანაბარი უნდა იყოს. ამ მოსაზრებას ეთანხმება პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც. ის უკვე კარგა ხანია რაც ექსპრეზიდენტის გასამართლებას ითხოვს.

მისი განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის დანაშაულებრივი ქმედებების მოწმე და მსხვერპლი არის არა მარტო საქართველოს მოსახლეობა, არამედ ამის მოწმეა საერთაშორისო თანამეგობრობაც.

— მხოლოდ ტალიავინის დასკვნაც კი საკმარისია იმისათვის, რომ სააკაშვილის ბრალეულობაზე ვისაუბროთ, თუნდაც იგივე „იმედთან“ დაკავშირებით ძალიან ბევრი ინფორმაციაა უცხოეთში გავრცელებული, რომელიც სააკაშვილის ბრალეულობას ადასტურებს. რაც შეეხება ადვოკატის, ოთარ კახიძის მიერ ჩემი მისამართით გაკეთებულ განცხადებებს, მე მესმის მათი, ვინაიდან არანაირი საშუალება არ აქვთ იმისათვის, რომ სამართლებრივად იმართლონ თავი. ამიტომ მათი ამოცანაა, რომ ეს საქმე პოლიტიკურ ჭრილში გადაიყვანონ. სააკაშვილს ვურჩევ, რომ მისმა ადვოკატმა პოლიტიკური განცხადებების კეთებისაგან თავი შეიკავოს და სამართლებრივი არგუმენტები იპოვოს. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ როდის იქნა სააკაშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრული, იმედი მაქვს, ამაზე პროკურატურა გასცემს პასუხს. ჩემი ინფორმაციით, საქმე აღძრულია 2012 წლის ოქტომბერში და სწორედ ამ დროიდან მიმდინარეობდა გამოძიება და ჩემ გარდა ძალიან ბევრი ადამიანია, ვისაც ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენება აქვს მიცემული. ასე რომ, მათი განცხადებები არის დემაგოგია და სხვა არაფერი, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ნინო ბურჯანაძემ.

საქართველოს მთავარი პროკურატურა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ ბრალის წაყენებასთან და არსებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომლის თანახმადაც, მხოლოდ ფაქტობრივი მტკიცებულებები 80 ტომს მოიცავს.

— მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიორგი უგულავას ბრალდების სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, გვსურს განვმარტოთ, რომ საქმეზე გამოძიება 2013 წლის 25 ოქტომბრიდან მიმდინარეობს და ამ პერიოდის განმავლობაში ჩატარებულია არაერთი საგამოძიებო მოქმედება, დაკითხულია 100-მდე მოწმე, საქმეს ერთვის არაერთი ვიდეო ჩანაწერი, სხვადასხვა ექსპერტიზის დასკვნები და სხვა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები.

საქმეზე გამოძიების მიერ შეკრებილი მხოლოდ დოკუმენტური მტკიცებულებები 80 ტომს შეადგენს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, მტკიცებულებათა გაცვლა ბრალდებულების ადვოკატებთან 2014 წლის 29 ივლისს მოხდა. შესაბამისად, დაცვის მხარის განცხადება გაცვლიდან მეორე დღეს მტკიცებულებათა არარსებობის შესახებ არასერიოზულია და მიზნად მხოლოდ, საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავს. ასევე გვინდა განვმარტოთ, რომ მტკიცებულებათა სრულყოფილი გამოკვლევა ხდება სასამართლოში არსებითი განხილვისას და სწორედ სასამართლოა ის ორგანო, რომელიც მტკიცებულებების საკმარისობას და სანდოობას აფასებს. ასე რომ, გამოძიების ამ ეტაპზე მსგავსი განცხადებები სრულიად უსაფუძვლოა.

ასევე, საზოგადოების ინფორმირების მიზნით გვინდა განვმარტოთ, რომ მიხეილ სააკაშვილის ბრალდების დადგენილება გამოტანილი იქნა ნინო ბურჯანაძის დაკითხვამდე, ვინაიდან გამოძიების მიერ, ნინო ბურჯანაძის დაკითხვის გარეშეც შეკრებილი იყო უტყუარი მტკიცებულებების საკმარისი ერთობლიობა, რაც იძლეოდა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს მიხეილ სააკაშვილის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენის თაობაზე, — ნათქვამია განცხადებაში.

ბურჯანაძემ საოცნებო ხელისუფლება უუნარობაში გუშინ კიდევ ერთხელ დაადანაშაულა. მისი თქმით, წელიწადი და რვა თვის განმავლობაში არ გააკეთა არაფერი იმისათვის, რათა სააკაშვილისთვის ბრალი მანამ წაეყენებინა, სანამ ის აქ ბრძანდებოდა.

— ეს არის ამ ხელისუფლების უუნარობის ბრალი, მაგრამ იმედი მინდა ვიქონიო, ახლა მაინც გამოსწორდება ვითარება პროკურატურის მოქმედების შედეგად, თუმცა ამას სჭირდება არა მხოლოდ 7 ნოემბრის, არამედ 26 მაისის და აგვისტოს ომის მოვლენების გამოძიებაც. მე საქმეს არ გავცნობივარ, თუმცა რამდენადაც ინფორმაცია მაქვს, საქმე 80 ტომიანია და ნამდვილად არ მგონია, რომ მე ვიყო ერთადერთი და მთავარი მოწმე, როგორც ამას ადვოკატი ამბობს. რაც შეეხება სამართლებრივ პროცედურას, შეიძლება საქმე იქნას აღძრული და შეიძლება მოწმეები დამატებით იქნას დაკითხული. ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა და ამაზე იურისტები არც დავობენ, — ამბობს პარლამენტის ექსსპიკერი.

მისი აზრით, სააკაშვილს 26 მაისზე და აგვისტოს ომზეც უნდა დაუმძიმდეს ბრალი.

— მე დარწმუნებული ვარ, სააკაშვილს ბრალი უნდა დაუმძიმდეს 26 მაისის საქმეზეც, იმიტომ, რომ 26 მაისი არის გაცილებით მძიმე მოვლენათა განვითარებისა და შედეგების თვალსაზრისით, ვიდრე 7 ნოემბერი და ამავდროულად სააკაშვილს ბრალი უნდა წარედგინოს 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებითაც, — განაცხადა ბურჯანაძემ.

მას მეოცნებეების მიმართ სხვა პრეტენზიებიც აქვს. აუდიტის სამსახურმა რამდენიმე მისი თანამოაზრე დააჯარიმა. ბურჯანაძე პირობას დებს, რომ ამ საქმეს ასე არ დატოვებს.

— მინდა საგანგებო განცხადება გავაკეთო და ძალიან დიდი აღშფოთება გამოვხატო იმასთან დაკავშირებით, რომ დღევანდელი ხელისუფლება აგრძელებს სააკაშვილის ხელისუფლების ნაბიჯებს. იმ ფონზე, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო პრაქტიკულად 6 მილიონამდე შემოწირულობა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მილიონი, ხოლო ჩვენ მხოლოდ 300 ათასი, რატომღაც ხელისუფლებამ და აუდიტის სამსახურმა გადაწყვიტა, სწორედ ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის შემოწირულობები გამხდარიყო განსაკუთრებული დევნის საგანი და გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, წაგვართვას ის თანხები, რომელიც ჩვენ ამ უთანასწორო ბრძოლაში მოვიპოვეთ ხალხის მხარდაჭერის საფუძველზე.

ვაფრთხილებ „ქართულ ოცნებას“ — ჩვენ ამას ასე არ დავტოვებთ. მე არ ვიცი, აქვს თუ არა ინფორმაცია ბატონ ღარიბაშვილს აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული დევნის შესახებ, თუმცა არ გამიკვირდება, რომ ეს იყოს მიზანმიმართული პოლიტიკა, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ ყველა კენჭისყრაზე, რომელიც ჩვენს დაფინანსებას ეხებოდა, ჩვენ წინააღმდეგ მისცა ხმა, იმისათვის, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაეშვა ჩვენი პოლიტიკური ძალისათვის საბიუჯეტო დაფინანსება. შემიძლია გითხრათ, დაფინანსების წართმევა და დაჯარიმება, ნამდვილად არ იქნება ის მეთოდი, რომელიც ჩვენ გაგვაჩერებს. ჩვენ ამ რეჟიმში მუშაობას, სამწუხაროდ, მიჩვეული ვართ, მაგრამ ნამდვილად არ მაქვს სურვილი, „ქართულმა ოცნებამაც“ ისევე დაასრულოს, როგორც „ნაციონალურმა მოძრაობამ“. მე ახლა ვამზადებ წერილს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან და ვთხოვ მათ, მონიტორინგი გაუწიონ იმ რეალობას, რომ „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის დაფინანსება დავიდეს მინიმუმამდე, რათა საპარლამენტო არჩევნებისთვის არავითარი სახსრები აღარ დაგვრჩეს“, -განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

## შინაგან საქმეთა მინისტრი ლატვიელ კოლეგას შეხვდა



ლატვიაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე თავის კოლეგას — ლატვიის შინაგან საქმეთა მინისტრ რიჰარდს კოზლოვსკის შეხვდა.

შეხვედრისას მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის და საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხები განიხილეს.

ვიზიტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია შეხვედრები ლატვიის ეროვნული პოლიციის, სახელმწიფო სახანძრო და სამაშველო სამსახურის და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურის წარმომადგენლებთან.

უწყების ინფორმაციით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს ლატვიურ მხარესთან, განსაკუთრებით, საზღვრის დაცვის სფეროში. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია აღნიშნული უწყების საქმიანობის გაცნობა და გამოცდილების გაზიარება, როგორც საზღვრის დაცვის, ასევე უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის კუთხით. შსს-ს ინფორმაციით, საქართველოში მოვლინებულია ლატვიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ატაშე საიმიგრაციო საკითხებში, რომელიც ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობს.

ლატვიის რესპუბლიკასთან ძალაშია შეთანხმებები როგორც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, ასევე საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების და მათზე რეაგირების სფეროში.

ვიზიტის ფარგლებში, მინისტრი ასევე ლატვიის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ევროინტეგრაციის კუთხით გატარებულ რეფორმებსა და ღონისძიებებს გაეცნობა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი ლატვიის რესპუბლიკაში 1 აგვისტოს დასრულდება.

ნიუსპრესი

## ნუგზარ წიკლაური: სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ უპრეცედენტოდ მკაცრია“



,,ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, თუ ხელისუფლებამ უცხოელი პარტნიორების თხოვნა და პოზიცია არ გაითვალისწინა, ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი შეილახება.

როგორც საპარლამენტო უმცირესობის წევრი აცხადებს, აშშ-ის სენატორებმა მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნეს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სამართლებრივი სისტემები პოლიტიკური დევნის იარაღად არ უნდა გამოიყენოს.

,,სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ უპრეცედენტოდ მკაცრია. განცხადებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ სამართლებრივი სისტემები პოლიტიკური დევნის იარაღად არ უნდა იყოს გამოყენებული. ხელისუფლებამ ჩვენი პარტნიორების თხოვნები უნდა გაითვალისწინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შელახვის თვალსაზრისით, ძალიან სერიოზული პრობლემები შეექმნება“,— განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ ბრალის წარდგენის გამო შეშფოთებას გამოთქვამს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. „სამართლის უზენაესობის დაცვა ნიშნავს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონი ყველამ უნდა დაიცვას და ამასთან, სამართლებრივი სისტემა არ უნდა იქნას პოლიტიკური შურისძიების იარაღად გამოყენებული“,— ნათქვამია განცხადებაში.

ნიუსპრესი

## ეკა ბესელია: მერე რა, რომ სააკაშვილი ქვეყნის პირველი პირი იყო, კანონზე მაღლა ვერავინ დადგება“



პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ ბრალის წარდგენაზე, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებას ეხმაურება და აღნიშნავს, რომ ქართული მხარე პარტნიორი ქვეყნის მოსაზრებას პატივს სცემს, თუმცა, კანონზე მაღლა ვერავინ დადგება.

„ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს კანონებია. ჩვენ, პარტნიორი ქვეყნის მოსაზრებას პატივს ვცემთ, თუმცა კანონზე მაღლა, ბუნებრივია ვერავინ დადგება. მერე რა, რომ სააკაშვილი ქვეყნის პირველი პირი იყო“, — განაცხადა ბესელიამ.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ ბრალის წარდგენის გამო შეშფოთებას გამოთქვამს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. „სამართლის უზენაესობის დაცვა ნიშნავს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონი ყველამ უნდა დაიცვას და ამასთან, სამართლებრივი სისტემა არ უნდა იქნას პოლიტიკური შურისძიების იარაღად გამოყენებული“,— ნათქვამია განცხადებაში.

ნიუსპრესი

## ვასილ მაღლაფერიძე: 2007 წელს ბურჯანაძემ მითხრა, ყველანაირად უნდა ვიბრძოლოთ, რომ არჩევნები არ გაყალბდესო“



მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორის ვასილ მაღლაფერიძის განცხადებით, 2007 წლის 4 ნოემბრის დახურულ თათბირს,

სადაც მისივე თქმით, აქციის მონაწილეთა დარბევა დაიგეგმა, საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არ დასწრებია.

მაღლაფერიძემ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-სთვის მიცემულ ინტერვიუში იმ თათბირის დეტალები გაიხსენა, რომელიც სააკაშვილისა და სხვა ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების (შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი, ყოფილი გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი და თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა) წინააღმდეგ, გამოძიებაში ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულებაა.

ყოფილი გუბერნატორის თქმით, მოგვიანებით, ამ შეხვედრის შესახებ ინფორმაცია მან პარლამენტის მაშინდელ თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს მიაწოდა.

„თათბირს ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი მართავდა. უფრო მეტს მერაბიშვილი ლაპარაკობდა. იქ იყვნენ აგრეთვე დავით კეზერაშვილი, დათა ახალაია და კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი. სააკაშვილი არ იყო ამ თათბირზე და ის ნახსენებიც კი არ ყოფილა. გიგი უგულავა შეხვედრის დასაწყისში იქ იყო, შემდეგ კი, მერაბიშვილის მოთხოვნით, მან სხდომა დატოვა“,-განაცხადა მაღლაფერიძემ.

მისივე თქმით, თათბირის შესახებ პარლამენტის მაშინდელ თავმჯდომარეს ინფორმაცია ასე დეტალურად ვერ მიაწოდა, რადგან ამის საშუალება არ იყო.

„7 ნოემბერს მოხდა ის რაც მოხდა. შემდეგ კი სააკაშვილი გადადგა. 10-ში თუ 11-ში საგანგებო მდგომარეობა იყო. მე ბურჯანაძეს ვუთხარი, რომ ვითარება სრულიად აუტანელია, ესენი ყველა ზღვარს გადადიან და ყველაფერს კადრულობენ-თქო. ბურჯანაძემ მითხრა, რომ ყველანაირად უნდა ვიბრძოლოთ, რათა არჩევნები არ გაყალბდეს და ბრძოლა უნდა გავაგრძელოთო“,-განაცხადა მაღლაფერიძემ.

ვასილ მაღლაფერიძე 2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივად დარბევის საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმეა.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, 2007 წლის 4 ნოემბერს, სააკაშვილის დავალებით, შსს-ს შენობაში, ივანე მერაბიშვილის კაბინეტში საგანგებო თათბირი გაიმართა. თათბირზე გადაწყდა, რომ უნდა შეედგინათ საპროტესტო აქციებში მონაწილე პირთა სია, რომელთა მიმართ უნდა განხორციელებულიყო დაშინება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, ხალხის ცემა და სხვადასხვა გზებით, მათ შორის ნარკოტიკების ჩადებით მათი დაპატიმრება. ოპოზიციის მხარდამჭერი ბიზნესმენებისთვის უნდა „მიეხედა“ ფინანსური პოლიციის ყოფილ უფროსს და იმჟამად თავდაცვის მინისტრს დავით კეზერაშვილს. მერაბიშვილმა თათბირის დროს წამოსთქვა შემდეგი შინაარსის ფრაზები: ,,გალახული კაცი საქართველოში არის ჩმორი და მაშინვე კარგავს გავლენას, ჯგუფები შექმენით, ცემეთ, თირკმელებში ურტყით, დაიჭირეთ, გადმოიბირეთ, ნარკოტიკები ჩაუდეთ, გარეთ ერთი ახალაია მიხედავს, შიგნით კი მეორე დახვდებაო.

ნიუსპრესი

სამართალი

# ზაზა ხატიაშვილი ქუთაისსა და ბათუმში მოღვაწე ადვოკატებს შეხვდა



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, ქუთაისში და ბათუმში მოღვაწე ადვოკატებს შეხვდა.

შეხვედრაზე ადვოკატის პროფესიული უფლებამოსილების განხორციელების საკითხები, პრობლემები და პრიორიტეტები განიხილეს. ისაუბრეს ადვოკატთა ასოციაციის სტრატეგიით გათვალისწინებულ აქტივობებზეც, რომელიც აღმასრულებელმა საბჭომ დაამტკიცა.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ადვოკატთა ინსტიტუციურ დევნაზე გაამახვილა ყურადღება და ქუთაისში ადვოკატის უფლებათა დაცვის ქვეკომისის შექმნის თაობაზე ინიციატივით გამოვიდა, რომელიც ადვოკატების უფლებათა დარღვევის ფაქტებს შეისწავლის და ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოზე განსახილველად რეკომენდაციებს შეიმუშავებს. როგორც შეთანხმდნენ, ადვოკატის უფლებათა დაცვის კომისიას ადვოკატი დალი სულაქველიძე უხელმძღვანელებს.

ადვოკატთა ასოციაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ქუთაისელი ადვოკატების თხოვნით გადაწყდა, რომ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარესთან და აღმასრულებელი საბჭოს წევრებთან შეხვედრები თვეში ერთხელ გაიმართება, სადაც პრობლემებსა და საინტერესო წინადადებებს განიხილავენ. რეგიონებში ადვოკატის პროფესიის განვითარების მიზნით, ქუთაისში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა კომისიები შეიქმნება.

ზაზა ხატიაშვილი ასევე, ბათუმში ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლობის სარემონტო სამუშაოებს დაესწრო და ბათუმელ ადვოკატებთან ერთად ადვოკატის პროფესიის საჭიროებებზე და წარმომადგენლობის სამომავლო საქმიანობაზე იმსჯელა. ისევე როგორც ქუთაისში, ბათუმშიც შეიქმნება კომიტეტები და კომისიები, რომლებიც საკანონმდებლო ინიციატივებს შეიმუშავებენ და სამომავლო გეგმებზე იმსჯელებენ.

ბათუმში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლობის გახსნა შემოდგომაზე იგეგმება.

ნიუსპრესი

# სასჯელაღსრულების მინისტრი ამერიკის ელჩს შეხვდა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში, რიჩარდ ნორლანდს შეხვდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. მხარეებმა სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ ვითარებაზე ისაუბრეს და სამომავლო თანამშრომლობის გეგმები დასახეს.

მინისტრმა ელჩს პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდა და იმედი გამოთქვა, რომ აშშ-ის გამოცდილება ქართულ სასჯელაღსრულების სისტემას მნიშვნელოვნად დაეხმარება.

რიჩარდ ნორლანდის განცხადებით კი, მიმდინარე წელს ხელმოწერილი მემორანდუმის ფარგლებში, აშშ-ის მთავრობა მზადაა სამინისტროსთან თანამშრომლობა გააგრძელოს.

შეხვედრას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე გოგი გახარია და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

ნიუსპრესი

# თინათინ ხიდაშელი: კანონის ახალი რედაქცია პარლამენტარის მიერ პრემიის აღების შესაძლებლობას აღარ ითვალისწინებს“

საჯარო სამსახურში პრემიების გაცემის წესი სამართლებრივად მოწესრიგდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილებები „საჯარო სამსახურის შესახებ“, „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონებში და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შედის.

კანონპროექტთა ცვლილებების პაკეტი საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება რესპუბლიკელების“ საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადდა, რომლის I მოსმენით განხილვა რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის სხდომაზე შედგა.

ინიციატივა კომიტეტის წევრებს ფრაქციის წევრმა, თინათინ ხიდაშელმა წარუდგინა.

ცვლილებების შედეგად, იმ სახელმწიფო-პოლიტიკური და სხვა თანამდებობის პირების ნუსხა დგინდება, ვისთვისაც პრემიის მიღება იკრძალება. ამასთანავე სხვა მოხელეებისთვის გასაცემი პრემიების ზედა ზღვარი განისაზღვრა, რომლის მიხედვითაც, მოხელის მიერ ერთჯერადად მიღებული პრემია მისი ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ორმაგ ოდენობას არ უნდა აღემატებოდეს.

რაც შეეხება პერიოდულობას – სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს ზეგანაკვეთური მუშაობის, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, არასამუშაო საათებში დიდი მოცულობის ან განსაკუთრებული სირთულის დავალების შესრულებისთვის, კვარტალში ერთხელ მოხელეზე პრემია გასცეს. ამასთან ერთად, პრემირებაზე წარმდგენმა პირმა სათანადო წერილობითი დასაბუთებაც უნდა წარმოადგინოს.

თინათინ ხიდაშელმა ცვლილებებიდან გამომდინარე, პარლამენტის წევრის ხელფასზე და პრემირებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ახალი რედაქცია პარლამენტის წევრის მიერ პრემიის აღების შესაძლებლობას აღარ ითვალისწინებს.

კომიტეტის სხდომაზე განხილულ საკანონმდებლო პაკეტზე პარლამენტის პლენარული სხდომა დაჩქარებული წესით იმსჯელებს.

ნიუსპრესი

# გოჩა ჯოჯუა: ნინო ბურჯანაძემ მაშინ განაცხადა სახელმწიფო შედგაო, როდესაც თვალებში გაზი მქონდა შესხმული“

## რას ედავება პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ყოფილი დეპუტატი

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს პარლამენტის ყოფილი წევრი პოლიტიკურ კორუფციაში სდებს ბრალს და სასამართლოში უჩივის. გოჩა ჯოჯუა აცხადებს, რომ ნინო ბურჯანაძე პოლიტიკურ ვაჭრობაში იყო ჩართული და შედეგად „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ პოლიტიკური რუკიდან ქრება.

გოჩა ჯოჯუა აცხადებს, რომ ადგილობრივი არჩევნების წინ, სრულიად კანონიერად შესაძლებელი იყო ნინო ბურჯანაძის არჩევნებიდან მოხსნა, მაგრამ თავი შეიკავეს, რადგან პოლიტიკურ სკანდალს მოერიდნენ.

გოჩა ჯოჯუა:

– საჯარო რეესტრიდან ამოღებული ოქმის მიხედვით, 6 ივნისს არის ჩატარებული „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ყრილობა. 3 ივნისს ნინო ბურჯანაძეს უკვე ხელი აქვს მოწერილი და შეტანილი საარჩევნო დოკუმენტაცია. მოგეხსენებათ, არჩევნების პროცესში პოლიტიკური პარტიები ერთმანეთის კონკურენტები არიან. წარმოიშვა საკითხი იმის შესახებ (მათ შორის, ჩემთანაც იყო კონსულტაცია), ხომ არ შეგვეტანა საჩივარი და ხომ არ მოგვეხსნა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, ამ შემთხვევაში ნინო ბურჯანაძე, საარჩევნო რეგისტრაციიდან. მაშინ, ვფიქრობ, ყველა პოლიტიკოსმა მივიღეთ სავსებით სწორი გადაწყვეტილება, რომ ეს შექმნიდა პოლიტიკურ სკანდალს. ამიტომ მაშინ ყველამ შეგნებულად თავი შევიკავეთ.

გოჩა ჯოჯუას განცხადებით, პარტიის წევრების დიდმა ნაწილმა ეს ამბავი მას შემდეგ გაიგო, რაც მასმედიისთვის გახდა ცნობილი, რომ თითქოს ყრილობა იყო ჩატარებული. ის ურჩევს ნინო ბურჯანაძეს, ღირსეულად გაეცალოს ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას.

– პირდაპირ გეტყვით, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, რომელიც თანამონაწილე გახდა ლევან ვეფხვაძის პოლიტიკური შარლატანობისა, ამ მდგომარეობიდან ღირსეულად გამოსვლის საშუალება აქვს. მან უარი უნდა თქვას იმ პარტიის თავმჯდომარეობაზე, რომლის თავმჯდომარეც ის, რეალურად, არ არის და ეს საქმე მთლიანად გახდება „ქრისტიან-დემოკრატების“ შიდა პოლიტიკური გარკვევის საკითხი. ამ შემთხვევაში, ერთმა მხარემ, ნინო ბურჯანაძემ მიიღო ყველაფერი, რის მიღებაც შეიძლებოდა (საეთერო დრო, ორი წარმომადგენელი თითო უბანზე, სახელმწიფო დაფინანსება თუ სხვა), მეორე მხარე კი პოლიტიკური რუკიდან საერთოდ ქრება. გიორგი თარგამაძის წასვლა ნაადრევი იყო. თუმცა, მან ღირსეული ნაბიჯი გადადგა – როცა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მისი შედეგი მინიმალური იყო, მან პოლიტიკიდან წასვლა გადაწყვიტა. ამის შემდეგ პოლიტიკური პარტია უნდა დარჩენილიყო. პირველ რიგში, ვეფხვაძის პოლიტიკური შეცდომების ბრალი იყო, რომ ამ პარტიაში მოღვაწე ადამიანები ხშირად უმიზეზოდ ილანძღებოდნენ. ამ ადამიანებს ხაზი გადაუსვა და პოლიტიკური სივრციდან გააქრო, არასწორია, – ასკვნის გოჩა ჯოჯუა.

გოჩა ჯოჯუა გიორგი ახვლედიანსაც ადანაშაულებს, რომელიც, მისი თქმით, ვითომ ჩატარებული ყრილობის „გაპრავებაში“ ეხმარება.

– მივმართავ გიორგი ახვლედიანსაც, სჯობს გამოფხიზლდეს და მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება. იმის მაგივრად, რომ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღოს, ადამიანებს სისხლის სამართლის კანონდარღვევისაკენ უბიძგებს და ეუბნება, პირადობის მოწმობის ასლები გამოგვიგზავნეთო. უნდათ ის ყრილობა „გააპრავონ“, თითქოს ყრილობა იყო ლეგიტიმური. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული. არც მე და არც ის ადამიანები ამას არ დათანხმდებიან. გარკვეულმა ადამიანებმა ფიზიკურად ვერ შეძლეს აქ ჩამოსვლა, თორემ მათი განწყობაც ჩვენი პოზიციის იდენტურია. უკან დახევას არ ვაპირებთ. პირველ რიგში, მივმართავთ იუსტიციის სამინისტროს, შემდეგ კი, თუ საჭირო იქნება – სასამართლოს. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში სამართლიანობის აღდგენა თუ ვინმეს უნდა, სამართლიანობით უნდა დავიწყოთ ჯერ შიგნით, საკუთარ თავში, შემდეგ პარტიასა და საქართველოში.

„ახალი თაობა“ გოჩა ჯოჯუას ესაუბრა.

***– ბატონო გოჩა, თქვენ ნინო ბურჯანაძე პოლიტიკურ კორუფციაში დაადანაშაულეთ. რაში მდგომარეობდა პოლიტიკური კორუფცია, „ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის“ სახელწოდება შეისყიდა?***

– პარტიის სახელწოდების ყიდვა მის ინტერესებში ნამდვილად არ იყო. მას არ სჭირდებოდა სახელწოდება. ის ამ სახელწოდებას ნამდვილად გაურბის და სურს, რომ საერთოდ, პოლიტიკური რუკიდან გააქროს. მას სჭირდებოდა ის სიკეთე, რაც ამ პარტიას ჰქონდა – პოლიტიკური სუბიექტის სტატუსი, სატელევიზიო დრო და სახელმწიფოს დაფინანსება.

***– ამაში ფული გადაიხადა თუ ეს უბრალოდ პოლიტიკური გარიგება იყო?***

– ფულს რომ იხდის, ამას ვინმე ვინმეს აჩვენებს? ამას მე როგორ გეტყვით, ფული გადაუხადა-მეთქი. მე ვიცი ერთი რამ – ადამიანებს შორის, პოლიტიკურ სუბიექტებს შორის თუ სახელმწიფოს შორის როცა გარიგებაა, მაშინ ორივე მხარემ უნდა წარმოაჩინოს, ერთი და მეორე რას ღებულობს. როცა ერთი ღებულობს ყველაფერს, ხოლო მეორე – არაფერს, მაშინ იმ გარიგების უკან სხვა გარიგებაა, რომლის თაობაზეც ჩვენ არაფერი ვიცით. რა ფორმით ხდება ეს გარიგება, მათ იციან, ვინც მონაწილეობა მიიღო.

***– პარტიის მთავარი შემქმნელი თავის დროზე გიორგი თარგამაძე იყო. მან პოლიტიკური ასპარეზი დატოვა. ის ამ გარიგებაში მონაწილეობდა?***

– არა. მას ხელი არ მოუწერია. ის მაქსიმალურად ეცადა და იმიტომ გავიდა პოლიტიკური ავანსცენიდან, რომ ამ პროცესებში მონაწილეობა არ მიეღო.

***– ამ პარტიას პირადად გიორგი თარგამაძის პარტიად მიიჩნევდნენ და ასე იოლად შეელია ყველაფერს?***

– ერთი კაცის პარტია ქართული დეგენერატობაა. ეძახიან შალვა ნათელაშვილის პარტიას, გიორგი თარგამაძის პარტიას. პარტია არ არის ვინმესი, პარტიის თავმჯდომარეა ვიღაცა.

***– ცოტა იოლად ხომ არ დათმომეთქი?***

– არჩევნებზე შედეგი ვერ მიიღო და თვითონ წავიდა, კი არ დათმო.

***– ნინო ბურჯანაძისგან მოელოდით ასეთ ნაბიჯს?***

– ნინო ბურჯანაძესთან მე მქონდა სამსახურებრივი შეხება, როცა მე ვიყავი პარლამენტის წევრი, ხოლო ის – პარლამენტის თავმჯდომარე. მე მას ვთხოვე, გადაედო დანაშაულებრივი გადაწყვეტილების მიღება, რაც ეხება საქართველოს ტერიტორიულ საკითხებს, მისი თავმჯდომარეობის დროს ცხინვალის რეგიონში უკანონოდ შეიქმნა ავტონომიური ერთეული. ნინო ბურჯანაძე გახდა თანამონაწილე სახელმწიფო ღალატისა. ამის გამო მიხეილ სააკაშვილს ბრალდება, ჯერჯერობით, წარდგენილი არ აქვს. დღევანდელ ხელისუფლებაშიც ძალიან ბევრი ადამიანია, რომელიც ასევე მონაწილეობდა ამ ფარსში. აქედან გამომდინარე, ავტონომიური ერთეული ცხინვალის რეგიონში ნინო ბურჯანაძისა და იმ პარლამენტის დამსახურებაა, რომელმაც, ფაქტობრივად, აღადგინა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, სადაც დღეს რუსის ჯარი დგას. რუსის ჯარი იმიტომ დგას, რომ აღადგინეს ავტონომია. ეს გააკეთა ნინო ბურჯანაძემ.

***– თავის დროზე ეროვნულ-სახალხო კრება იყო გარკვეული ჯგუფის იდეა. მათ ხმაურიანი პრეზენტაცია მოაწყვეს და მუშაობდნენ. შემდეგ ნინო ბურჯანაძემ ზუსტად იგივე სახელით ეროვნულ-სახალხო კრება შექმნა და, როგორც მე მითხრეს, ნაწილი ხალხისაც გადაიბირეს.***

– ეს თემა არსებობდა, მე საქმის კურსში ვარ. ეს იყო სახალხო კრების იდეა, რომელიც ადამიანმა წამოაყენა. გაერთიანებულ ოპოზიციაზე რომ იყო საუბარი, ეს ადამიანი მონაწილეობდა მოლაპარაკების პროცესში, მაგრამ გაერთიანებული ოპოზიციის მაგივრად მივიღეთ „ქრისტიან-დემოკრატი“ ნინო ბურჯანაძე. ნაციონალების დაკრულზე რომ დადიოდნენ, იმიტომაც იყო, რომ „რვიანი“ დაშალა ვეფხვაძემ. ეს მათ ძალიან კარგად იციან. იმის რეაბილიტაცია უნდათ, რაც „ქრისტიან-დემოკრატებმა“ მაშინ მოახდინეს. ვისი გაკეთებული იყო, ეს ძალიან კარგად იციან. მათი ერთი წარმომადგენელი დღეს ხელისუფლებაშია. მართლა მაინტერესებს, ნაცმოძრობის დამმარხავი ძალა ლევან ვეფხვაძეა თუ ნინო ბურჯანაძე?



***– სააკაშვილს 7 ნოემბერთან დაკავშირებით ბრალი წაუყენეს. ბურჯანაძემ განაცხადა, რომ დაეხმარება გამოძიებას. რამდენადაც ცნობილია, მაშინ ნინო ბურჯანაძე სააკაშვილის გვერდით იდგა და მწვავე განცხადებებს აკეთებდა, სააკაშვილის მოქმედებას ამართლებდა.***

– ნინო ბურჯანაძემ მაშინ განაცხადა, სახელმწიფო შედგაო, როდესაც თვალებში გაზი მქონდა შესხმული. ქართველი ერი მას დეგენერატი ჰგონია. მე გაჩერებას არ ვაპირებ, დოკუმენტი არსებობს. მართლა შემეძლო მომეხსნევინებინა რეგისტრაციიდან, მაგრამ ეს იქნებოდა პოლიტიკური სკანდალი. მე პოლიტიკოსი ვარ, ისინი კი ვაჭრები არიან, ჩვეულებრივი ვაჭრები. ეს არის ვაჭრული პოლიტიკა და კორუფცია. პირდაპირი გაგებით შარლატანობა.

***– თქვენ რამდენიმე საკითხი ახსენეთ, კონკრეტულად, იმ დადგენილების მიღებაც, რომელსაც ოსები და რუსები საზღვრის გავლებისთვის იყენებენ და იქ ჯარი დგას. ნინო ბურჯანაძე დღესაც პარლამენტის თავმჯდომარე რომ იყოს და იგივე საკითხი დადგეს, იგივე გადაწყვეტილებას დაუჭერდა მხარს, რასაც მაშინ. ომის შემდეგ ქართული მხარე რომ დავობდა ახალგორთან დაკავშირებით, როგორც მახსოვს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მოწინააღმდეგე მხარემ სწორედ ეს დადგენილება დაუდო, ის კი შემდეგ გაოგნებული მხრებს იჩეჩავდა.***

– ამ დადგენილების გატანა მოხდა ერთ დღეში სამი მოსმენით. ნინო ბურჯანაძეს საერთოდ საკუთარი პოზიცია არ აქვს.

***– ხომ არ ფიქრობთ, რომ ნინო ბურჯანაძესაც უნდა წარედგინოს ბრალი?***

– უნდა წარედგინოს. მიხეილ სააკაშვილს ახლა რომ უდგენენ ბრალს, დიდი ხნის წინ უნდა წარედგინათ – ცხინვალის რეგიონში ავტონომიის აღდგენა სახელმწიფო ღალატი იყო. მაშინ ნინო ბურჯანაძემ შეცდომა დაუშვა. შემდეგ 26 მაისს ნინო ბურჯანაძემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ არც ერთი პოლიტიკური ძალა იქ არ დამდგარიყო.

***– თქვენი ბრძოლა სადამდე გაგრძელდება?***

– სანამ ცოცხალი ვარ, ვიბრძოლებ, სასამართლოსა და პროკურატურას ჩავრთავთ.

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

ნარკოტიკულ და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, ხისტი ... ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიური. დაიბრუნეთ სასურველი წონა, შეინარჩუნეთ სტაბილურად შედეგი და სამუდამოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.
სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:
სწრაფი და ეფექტური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეიძლება ასაკის შეზღუდვამდე. შედეგები 100%-იანია.
ქ-ნი ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# დავით სერგეენკო: კრაკადილის მოხმარება 90%-ით შემცირდა“

შორენა გონგლაძე



ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, ე.წ. „კრაკადილის“ გამოყენების შემთხვევები 90 პროცენტით არის შემცირებული. ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მინისტრის განცხადებით, აქამდე განხორციელებული საკანონმდებლო ინიციატივები, რომელიც ძირითადად მიმართული იყო სააფთიაქო ნარკომანიის წინააღმდეგ ეფექტურად მიმდინარეობს.

— ყველაზე ოდიოზური ავად სახსენებელი ნარკოტიკის, როგორიც არის „კრაკადილის“, გამოყენების შემთხვევები 90 პროცენტი არის შემცირებული. მთელი თვეების განმავლობაში გვქონდა ინფორმაცია, რომ რამდენიმე აფთიაქი აგრძელებდა ფსიქოტროპული საშუალებების გაყიდვას რეცეპტების გარეშე. ჩვენი მოლოდინი არ იყო, რომ დადგენილების გამოქვეყნებისთანავე გაქრებოდა ეს საკითხი, ეს არის ზიანების შემცირება. ჩვენ ძალიან მკაცრ მონიტორიგნს ვახორციელებთ — განაცხადა სერგეენკომ.

მისივე თქმით, ნებისმიერი მოქალაქეს, ვისაც ექნება ინფორმაცია არაკანონიერ გაყიდვებთან დაკავშირებით, შეუძლია შეტყობინება დატოვოს ცხელ ხაზზე 15 05 და სამინისტრო მყისიერ რეაგირებას მოახდენს.

ჯანდაცვის მინისტრს კლინიკა „ახალი სიცოცხლის“ მენეჯმენტთან კითხვები აქვს. როგორც დავით სერგეენკომ განაცხადა, კარგმა მენეჯერმა საქმე იქამდე არ უნდა მიიყვანოს, რომ სამედიცინო პერსონალი ქუჩაში გამოვიდეს და ღია პროტესტი გამოთქვას.

— რამდენიმე დღის წინ მოგვმართა კლინიკის ხელმძღვანელმა, შეხვდა მინისტრის მოადგილეს ზაზა სოფრომაძეს, განიხილეს ყველა საკითხი. ჯანდაცვის სამინისტროს აქვს ორი შესაძლებლობა რომ ასეთი ტიპის კონფლიქტებში ჩაერიოს პირველი დ საფრთხე უნდა შექმნას სამედიცინო დახმარების უწყვეტობას, პაციენტს, და ვალდებული ვართ რომ ამისი პრევენციაც გავაკეთოთ და მყისიერი რეაგირებაც მოვახდინოთ. მეორე — თუ აღიძრა კოლექტიური შრომითი დავა, ესეც ჯანდაცვის სამინისტროს პრეროგატივა გახდა და სამმხრივი კომისიის მიერ დამტკიცებული მედიატორი იწყებს ამ საკითხის მოგვარებას კანონით დადგენილი ფარგლებში. სხვა შემთხვევაში ეს არის კერძო დაწესებულება და დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის მოლაპარაკების საგანი. ეს არის ფორმალური მხარე. თუმცა, რა თქმა უნდა, ნებისმიერი სახის სამედიცინო აქტივობა, პაციენტთან ურთიერთობა მთელი საქართველოს მასშტაბით არის ჩვენი პასუხისმგებლობა. მე ნამდვილად ვერ ვიქნები ბედნიერი როდესაც ასეთი კლასის დაწესებულებაში თანამშრომელთა, პრაქტიკულად, 100 პროცენტი აცხადებს რომ უნდა წავიდეს სხვაგან; მე რამდენადაც ვიცი ისინი უაღრესად კვალიფიციური ხალხია და არ გაუჭირდებათ სამსახურის მოძებნა. მაგრამ, მე გამიჩნდა ლეგიტიმური კითხვები გამიჩნდა ამ ქსელური დაწესებულების მმართველ კომპანიასთან. არ უნდა მიიყვანოს კარგმა მენეჯერმა საქმე იქამდე, რომ სამედიცინო პერსონალი ქუჩაში გამოვიდეს და ღია პროტესტი გამოთქვას — განაცხადა მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ კლინიკა „ახალ სიცოცხლის“ დატოვებას ექიმების 80% 11 აგვისტოდან აპირებს. როგორც კლინიკის ყოფილი დირექტორი ზაზა სინაურიძე აცხადებს, უკვე დანიშნულია ახალი დირექტორიც — აღნიშნულ პოსტზე გიორგი ბერიშვილი დაინიშნა. ზაზა სინაურიძემ და კლინიკის 50-მდე ექიმმა სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადებები ორშაბათს დაწერეს. თუმცა, 11 აგვისტომდე ისინი ჩვეულ რეჟიმში იმუშავებენ. სინაურიძის თქმით, სამედიცინო პერსონალსა და მენეჯმენტს განსხვავებული ხედვა აქვთ, რის გამოც ექიმები მიიჩნევენ რომ შესაძლოა პაციენტების უსაფრთხოება უზრუნველყოფილი ვეღარ იყოს.

სინაურიძის ინფორმაციით, ექიმების გაღიზიანება გამოიწვია შრომითმა ხელშეკრულებებმაც, სადაც მათთვის მიუღებელი რამდენიმე პუნქტია. კლინიკა „ახალი სიცოცხლე“ მმართველ კომპანიას „ევექსი“ წარმოადგენს, რომელიც კლინიკის მართვას თებერვლიდან ახორციელებს.

# შამათავასთვის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს პროკურატურა სააპელაციო წესით გაასაჩივრებს

საქართველოს პროკურატურა რომან შამათავასთვის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს სააპელაციო წესით გაასაჩივრებს

როგორც პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი, 2013 წლის 21 ოქტომბერს ეგრეთწოდებული „ხურჩის ტერაქტის საქმეზე“ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და ტერორისტული აქტის განხორციელების ბრალდებით დაკავებული იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი რომან შამათავა.

დასახელებულ საქმეზე ბრალდების მხარემ სასამართლოს წარუდგინა უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც პირდაპირ ადასტურებდნენ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების გზით რომან შამათავას მიერ 2008 წლის 21 მაისს სოფელ ხურჩაში ტერორისტული აქტის განხორციელების ფაქტს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში საქმის განხილვის პროცესში ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულელების გამოკვლევით დადგინდა: რომ 2008 წლის მაისში, რომან შამათავამ მალხაზ მურღულიასთან და გამოძიებით ამ ეტაპზე დაუდგენელ პირებთან ერთად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების გზით, სამინისტროს ბალანსზე არსებული შეიარაღების გამოყენებით განიზრახა, საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობის პროცესში, ტერორისტული აქტის მოწყობა.

2008 წლის 21 მაისს, რომან შამათავამ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების გზით შეაიარაღა სამმართველოს საიარაღოში არსებული საბრძოლო ამუნიციით და სოფელ ხურჩაში საზოგადოებისათვის თვალსაჩინო ადგილას ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მოსახლეობის დაშინების, დაუცველობისა და უმწეობის გრძნობის დამკვიდრების მიზნით, მალხაზ მურღულიას ააფეთქებინა ორი სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც გალში მცხოვრები მოსახლეობა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს გადმოჰყავდათ სოფელ ხურჩაში.

გუშინ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის განაჩენით რომან შამათავა ცნობილი იქნა დამნაშავედ ძალადობით და იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ჩადენაში, რაც კონკრეტულად გამოიხატა მასში, რომ რომან შამათავამ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები შეაიარღა საბრძოლო ამუნიციით, განახორციელებინა უმისამართო გასროლები და ააფეთქებინა სატრანსპორტო საშუალებები, რისთვისაც მას სასჯელის სახით დაუნიშნა 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა რომან შამათავას ორგანიზებით და უშუალო მონაწილეობით სოფელ ხურჩაში ტერორისტული აქტის განხორციელების ფაქტი, სასამართლომ დასახელებულ ბრალდებაში რომან შამათავა გაამართლა, ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობ არგუმენტებზე დაყრდნობით. მას შემდგომ რაც ბრალდების მხარე ჩაიბარებს განაჩენის სამოტივაციო ნაწილს, აუცილებლად მოხდება მისი სააპელაციო წესით გასაჩივრება, — აცხადებს პროკურატურა. მედიანიუსი

# ვის გაიწვევენ ჯარში

შორენა გონგლაძე

**სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები საზოგადოებამდე არასწორი ინტერპრეტაციით იქნა მიტანილი, ამაში კი საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მედიას ადანაშაულებს და ამასთან დაკავშირებით რამდენიმე განმარტებასაც აკეთებს. როგორც სამინისტროში განმარტავენ, ჟურნალისტების ნაწილმა აღნიშნული ცვლილებები სულ სხვაგვარად გააშუქა.**

— სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებებს მედიაში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ჟურნალისტების ნაწილმა ცვლილებები გააშუქა ისე, თითქოს, ამიერიდან, სამხედრო სავალდებულო სამსახურისგან თავისუფლდებიან პარლამენტის წევრები მაშინ, როდესაც ეს სამსახური სავალდებულო ხდებოდა პედაგოგებისათვის. — აცხადებენ სამინისტროში.

იმისთვის, რომ საზოგადოება არ შევიდეს შეცდომაში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო რამდენიმე განმარტებას აკეთებს.

— სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში“ არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გასწორების მიზნით, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის“ 30-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან ამოღებულ იქნა, პარლამენტის წევრად არჩევის შემთხვევაში, პირის სამხედრო ვალდებულებისგან გათავისუფლების ნაწილი და ჩაიწერა ამავე კანონის 29-ე მუხლში — „სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლება“. შედეგად, ახლა პარლამენტარები თავისუფლდებიან მხოლოდ სამხედრო სამსახურში გაწვევისგან და არა მთლიანად სამხედრო ვალდებულებისგან, როგორც ეს აქამდე იყო. შესაბამისად, მათ მიმართ კანონი გამკაცრდა — ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ხოლო, აქამდე მოქმედი კანონის მიხედვით (მუხლი 30, პუნქტი 2), თუ წვევამდელი გაწვევის დღისთვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეგისტრირებული იყო, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, სამხედრო სამსახურში გაწვევა მას არჩევნების შედეგების დამტკიცებამდე გადაუვადდებოდა, პარლამენტის წევრად არჩევის შემთხვევაში კი, იგი თავისუფლდებოდა სამხედრო ვალდებულების მოხდისგან.

— არსებული რედაქცია შეიცავდა ორ კაზუსს. პირველი — მუხლი, რომელიც სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადებას ეხებოდა, არეგულირებდა სამხედრო ვალდებულების მოხდიდან გათავისუფლებისაც; მეორე — ამ მუხლის მიხედვით პარლამენტის წევრები თავისუფლდებოდნენ არა მხოლოდ სამხედრო სამსახურში გაწვევისგან, არამედ — მთლიანად სამხედრო ვალდებულებისგან, რაც, ასევე, მოიცავს: სამხედრო აღრიცხვას, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებას, რეზერვს (მუხლი 1).

განმარტებას ითხოვს მედიის მიერ არასწორად ინტერპრეტირებული კიდევ ერთი საკითხი, რომელიც სამხედრო სავალდებულო სამსახურში პედაგოგებისა და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირების გაწვევას ეხება. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის“ ძველი რედაქციით (მუხლი 29), სამხედრო სამსახურში გაწვევისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს სამეცნიერო ხარისხი და ეწევა პედაგოგიურ ან სამეცნიერო მუშაობას. კანონის ენაზე ეს ნიშნავს იმას, რომ კონკრეტულ მომენტში სამეცნიერო ან პედაგოგიური საქმიანობით დაკავებული პირი სამხედრო სამსახურში გაწვევისგან თავისუფლდებოდა მუდმივად, მიუხედავად იმისა, იქნებოდა თუ არა მომავალში ისევ ჩართული სამეცნიერო ან პედაგოგიურ მუშაობაში. ამ ხარვეზის გასასწორებლად, კანონის ეს ნაწილი გადავიდა 30-ე მუხლში („სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადება“), შემდეგი რედაქციით — სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება პირს, „რომელსაც მინიჭებული აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და ეწევა პედაგოგიურ ან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

ცვლილებების ავტორი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ხაზს უსვამს, რომ ამ შესწორებებით „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი“ დაუახლოვდა ქვეყნის კოსტიტუციას, რომელიც ჩვენი მოქალაქეების თანასწორობის განმსაზღვრელი უზენაესი კანონია — აღნიშნულია განცხადებაში.

# ყინწვისის სამონასტრო კომპლექსი გაძარცვეს



ქარელის რაიონში, ყინწვისის სამონასტრო კომპლექსი გაქურდეს. ძარცვა 29 ივლისს, გვიან ღამით განხორციელდა. გავრცელებული ინფორმაციით, მძარცველებმა წმინდა ნიკოლოზის ხატისთვის შეწირული ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები წაიღეს.

სასულიერო პირების განცხადებით, იმის გამო, რომ ტაძარში მლოცველები გვიან ღამითაც დადიან, ეკლესია არ იკეტება. არსებული ინფორმაციით, ხატის საცავი მძარცველებმა ბასრი საგნით დააზიანეს.

ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მიმდინარეობს გამოძიება.

ნიუსპრესი

# გამოძალვის ბრალდებით პოლიციამ ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გამოძალვის ბრალდებით, 1992 წელს დაბადებული მიხეილ ნ. და 1994 წელს დაბადებული ბაჩანა ა. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა 1995 წელს დაბადებულ ავთანდილ შ.-ს სხვადასხვა დროს, ფიზიკური ძალადობის და სიცოცხლის მოსპობის მუქარით, ეტაპობრივად 650 ლარი გამოსძალეს.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ მიხეილ მ.-მ ავთანდილ შ. აიძულა მეგობრის კუთვნილი ნოუთბუქი მისთვის მიეცა, რომელიც შემდეგ სხვისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით ლომბარდში 200 ლარად ჩააბარა, ხოლო ბაჩანა ა. ავთანდილ შ.-სგან კიდევ 900 ლარის გამოძალვას ცდილობდა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მიხეილ ნ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში, ხოლო ბაჩანა ა. გორში, გორისჯვრის ქუჩაზე დააკავეს. მიხეილ ნ-ს პირადი ჩხრეკისას 300 ლარი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

# პოლიციამ ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაციის უფროსი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით, ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაციის უფროსი ინარი ზაქარაძე დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ინარი ზაქარაძე სამსახურებრივ უფლებამოსილებას გადაამეტა და თავის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს უკანონოდ დაავალა კონკრეტული მოქალაქეებისათვის, თითქოსდა ტყითსარგებლობის წესების დარღვევისათვის, დაჯარიმების ყალბი აქტების გამოწერა. გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებას შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

მედიანიუსი

# 21 წლის ოთო გურგენიშვილმა ბავშვი სიკვდილისგან იხსნა, თვითონ კი დაიღუპა



რუსთავში, ლეონიძის ქუჩაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 21 წლის ოთო გურგენიშვილი გარდაიცვალა. მან სიკვდილს მცირეწლოვანი ბავშვი გადაარჩინა, რომელსაც გზაზე გადასვლის დროს მანქანა ეჯახებოდა. ოთო გურგენიშვილმა ბავშვს ხელი ჰკრა და მანქანას აარიდა, რის შემდეგაც □დიდი სისწრაფით მიმავალი □მერსედესის ჯიპი□ მას დაეჯახა.

ქვემო ქართლის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად ოთო გურგენიშვილი გარდაიცვალა, მისი მეგობარი გოგონა კი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა, მსუბუქად დაშავდა.

ოთო გურგენიშვილი □საქართველოს ბანკსა□ და სადაზღვევო კომპანია □ალდაგში□ პიარის და გაყიდვების მიმართულებით მუშაობდა.

ის პოეზიითაც იყო გატაცებული. ოთოს ლექსები □ფეისბუქზე□ შექმნილ გვერდზე □ოთო გურგენიშვილის პოეზია□ ქვეყნდებოდა. ამ გვერდზე მის მიერ გამოქვეყნებული ბოლო პოსტი ასეთია:

□ბიჭებო (მამაკაცებო), უთხარით თქვენს გოგონებს (ქალებს), რომ ძალიან ლამაზები არიან. მხოლოდ სამი სიტყვაა სათქმელი და სამაგიეროდ მათი სახეების დანახვა უნდა გიღირდეთ ყველაფრად. იყავით უფრო მეტად ხალისიანები და ლაღები. გაილამაზეთ ცხოვრება და ყოველთვის და ყველგან გახსოვდეთ, რომ ბედნიერება ნამდვილად წვრილმანებშია□.

სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე, ოთომ გვერდზე დედამისის ფოტო გამოაქვეყნა წარწერით: □დედის სათუთ გულს გაუფრთხილდით ! მიყვარხარ დედა□.

ქვემო ქართლის საინფორმაციო ცენტრი

# კრედიტის გადაუხდელობის გამო 2007-2013 წლებში ქონება 5927 ოჯახს გაუყიდეს

2007-2013 წლებში სესხის გადაუხდელობის გამო ბანკებმა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა და მევახშეებმა უძრავი ქონება 5927 ოჯახს გაუყიდეს. არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ ინფორმაციით, ქონების იძულებითი რეალიზაციის ყველაზე მეტი შემთხვევა კერძო მევახშეების სასარგებლოდ მოხდა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2007 წელს კრედიტის გადაუხდელობის გამო უძრავი ქონება 136-მა ოჯახმა დაკარგა; 2008 წელს 273-მა ოჯახმა. 2009 წელს ეს რიცხვი 587-მდე გაიზარდა; 2010 წელს კრედიტის გადაუხდელობის გამო ქონება 710 ადამიანს გაუყიდეს; 2011 წელს კი 1377 ადამიანს; კრედიტის გადაუხდელობის გამო უძარვი ქონების გაყიდვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2012 წელს დაფიქსირდა — ძირითადად საცხოვრებელი სახლის გარეშე 1503 ადამიანი დარჩა, რაც 2007 წლის მონაცემზე 11-ჯერ მეტია. გასულ წელს, უძრავი ქონების იძულებით გასხვისების რაოდენობა ოდნავ შემცირდა და 1341 შეადგინა, თუმცა ეს მონაცემი 2007 წელს გასხვისებული ქონების რაოდენობას 9-ჯერ აღემატება.

2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის მაისის ჩათვლით, სულ 952 უძრავი ქონება გაიყიდა. აქედან კომერციული ბანკების სასარგებლოდ 172, ანუ მთლიანი ოდენობის 18.07%; მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სასარგებლოდ 157, ანუ მთლიანი ოდენობის 16.49%; მთლიანად რეალიზებული უძრავი ქონების ოდენობაში ყველაზე დიდი წილი კერძო მევახშეების სასარგებლოდ გაყიდულ ქონებას უკავია. მათ სასარგებლოდ ქონება აუქციონზე 623 ოჯახს ანუ 65.44%-ს გაეყიდა.

„საზოგადოება და ბანკების“ განცხადებით, მევახშეების სასარგებლოდ გასხვისებული ქონების ასეთი მაღალი მაჩვენებელი შემაშფოთებელია. როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, კერძო მევახშეების სფერო საქართველოში ლეგიტიმურია, მაგრამ დაურეგულირებელი.

2014 წლიდან შემოვიდა გარკვეული რეგულაციები, რომელიც კერძო იპოთეკარებს შეეხებათ. ისინი, მიმდინარე წლის 1 მარტიდან ვალდებულები გახდნენ, იპოთეკის ხელშეკრულება ნოტარიულად დაამოწმებინონ. ასევე, დაუწესდათ სესხის საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი, რაც თვეში 3.68%-ს შეადგენს. თუმცა, ვფიქრობთ ეს რეგულაციები საკმარისი არ არის და აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის უფრო გამკაცრება. ზემოთ არსებული მონაცემები ცხადყოფს, რომ კერძო მევახშეებისგან საზოგადოება სერიოზულად ზარალდება, ამიტომ ნათელი ხდება კერძო მევახშეების სეგმენტის სააღრიცხვო სისტემის და კონტროლის მექანიზმის გაუმჯობესების აუცილებლობა. ეს ყველაფერი კი გრძელვადიან პერსპექტივაში ჩამორთმეული ქონების ოდენობის შემცირებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს და ისედაც ფინანსურად დამძიმებული მოქალაქეების მდგომარეობას ცალსახად გაუმჯობესებისკენ უბიძგებს“, — განაცხადეს ორგანიზაციაში.

მათივე განმარტებით, აუქციონის წესით რეალიზებულ ქონებაში ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შედარებით მცირე წილი იმით აიხსნება, რომ იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის ვალის ამოღების უკანასკნელი ფორმაა და მას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ.

საქართველოში ბანკების მიერ გაცემული სესხების თითქმის 10% პრობლემურია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო ამ მაჩვენებლით 124 ქვეყანას შორის 52-ე ადგილზეა, რაც „საზოგადოება და ბანკების“ განმარტებით, საშუალოზე ოდნავ უკეთესი მაჩვენებელია.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

# საპარლამენტო უმრავლესობა: ჩვენს ამერიკელ მეგობრებს სააკაშვილზე ყველა ეჭვი გაეფანტებათ“

ნათია ხურცილავა

**მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წარდგენის შეფასებები პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მხრიდან კვლავ გრძელდება.**

უმცირესობის საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი იმედოვნებს, რომ მიხეილ სააკაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდება მხოლოდ მტკიცებულებებზე იქნება დამყარებული და არა პოლიტიკურ შეხედულებებზე.

ეს განცხადება უმცირესობის საბჭოს მდივანმა „ქორთიარდ მარიოტში“ გააკეთა, სადაც არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ატლანტიკური საბჭო“-მ საქართველოს უსაფრთხოების სექტორის მიმოხილვის შესახებ ანგარიში წარუდგინა:

— იმედს გამოვთქვამ, რომ საქართველოს პროკურატურა დადებს უტყუარ მტკიცებულებებს იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებიც ყოფილ პრეზიდენტს წაუყენა. შესაბამისად, იმედი მაქვს, რომ საქართველოს სასამართლო დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად მიიღებს გადაწყვეტილებას, სწორედ ამ მტკიცებულებების ერთობლიობის საფუძველზე. შესაბამისად, როგორც შიგნით პოლიტიკოსებსაც და გარეთ ჩვენს მოკავშირეებს, ყველა ეჭვი გაეფანტებათ. იმედი მაქვს, ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ მტკიცებულებებზე იქნება დამყარებული და არანაირად პოლიტიკურ შეხედულებებზე.

აქვე უმცირესობის საბჭოს მდივანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უმცირესობის საბჭოს სხდომა 1 აგვისტოს გაიმართება. სხდომაზე ნატოს უელსის სამიტის მზადების საკითხების შესახებ ისაუბრებენ.

„ქორთიარდ მარიოტში“ შეფასებები ასევე გაკეთდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, რომელშიც სააკაშვილისთვის ბრალის წაყენებასთან დაკავშირებით შეშფოთებაა გამოთქმული.



საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის ვიქტორ დოლიძის განცხადებით, საქართველოში კანონი ყველაზე ერთნაირად ვრცელდება.

— სასამართლო თავისუფალია და რა თქმა უნდა, მთელს საერთაშორისო თანამეგობრობას, მათ შორის ჩვენს ამერიკელ მეგობრებს, რომლებიც უკვე დიდი ხანია გვერდით გვიდგანან, დავარწმუნებთ იმ რეალობაში, რასაც ბოლო ცხრა წელი უყურებდა საქართველოს მოსახლეობა და თავის ზურგზე იწვნია, ამიტომ ამერიკელმა სენატორებმა უნდა იცოდნენ, რომ კანონი არის ყველასთვის ამ ქვეყანაში და პატივი უნდა სცენ ჩვენს კანონმდებლობას, — განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

ვიცე-სპიკერი ზურაბ აბაშიძე:

— აშკარად გამოძიებით იკვეთება სააკაშვილის ბრალეულობა, მაგრამ მეორეა უკვე, რომ სასამართლოში წავა ეს საქმე, სასამართლო იმსჯელებს და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, მე ვიცი, რომ ჩვენი კოლეგები აშშ-დან ძალიან დაკვირვებით ამახვილებენ ყურადღებას სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებით.

გუშინ „ქორთიარდ მარიოტში“ იმყოფებოდა აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი.

მისი განცხადებით, სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში ასახულია ის წუხილი, რომელიც ამერიკაში სააკაშვილის მიმართ წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით არსებობს.

— განცხადებაში ასევე გამოხატულია იმედი, რომ სამართლებრივი პროცესის წარმოების დროს რაიმე ფორმის შურისძიების თავიდან აცილება მოხდება. ჩვენ ამ პროცესს დავაკვირდებით, ვადევნებთ თვალს და, რასაკვირველია, აუცილებელია, რომ მართლმსაჯულების პროცედურები და კანონის უზენაესობა იყოს უზრუნველყოფილი, — განაცხადა ამერიკის ელჩმა.

ყოფილი პრეზიდენტისთვის ბრალის წარდგენას აფასებენ ექსპერტები. არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური აცხადებს, რომ ადამიანს პასუხისმგებლობისგან თანამდებობა არ ათავისუფლებს.

— გარკვეულწილად შეიძლება გამოიკვეთოს კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი. ჩვენი პოზიციით, ადამიანს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან თანამდებობა, ეს არის ფაქტი, თუმცა, ყველა ბრალი ადამიანს და მოქალაქეს უნდა დაუმტკიცდეს. შესაბამისად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია, რომ ძალიან კონკრეტული და უტყუარი მტკიცებულებები წარმოადგინოს პროკურატურამ, — განაცხადა ეკა გიგაურმა.

კახა კოჟორიძემ კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და მასთან ერთად სხვა მაღალი თანამდებობის პირების საქმეებს მონიტორინგს გაუწევს.

— ჩვენ მონიტორინგს გავუწევთ ამ საქმეებს, რამდენად შესაძლებელი იქნება საქმის მასალების, მტკიცებულებების ანალიზი, პროცესებზე დასწრება, შესაძლებელი იქნება, ალბათ ეს პროცესები დახურული არ იქნება და შესაძლებლობა გვექნება, იმედია, რომ გავაანალიზოთ, შევისწავლოთ და საკუთარი მოსაზრება დაინტერესებულ საზოგადოებას მივაწოდოთ, — ამბობს კოჟორიძე.

# 2015 წლიდან კახეთში სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები ამოქმედდება

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის „დელტა“ გენერალურ დირექტორთან, უჩა ძოძუაშვილთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

„სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების აღდგენა და გამართული ფუნქციონირება სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია. სეტყვის საწინააღმდეგო საშუალებების აქტიური გამოყენებით სოფლის მეურნეობისთვის მიყენებულ ზარალის მინიმუმამდე შემცირებაა შესაძლებელი და, შესაბამისად, ამ მიმართულებით გლეხი დაზღვეულია რისკებისგან“, — განაცხადა ოთარ დანელიამ.

„დელტას“ გენერალურმა დირექტორმა სოფლის მეურნეობის მინისტრს სეტყვის საწინააღმდეგო სისტემებზე ცენტრში მიმდინარე მუშაობის დეტალები გააცნო.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მინისტრი სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრიდან რეგულარულად მიიღებს ინფორმაციას.

სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები 2015 წლის აპრილიდან დაიწყებს ფუნქციონირებას და სრულად დაფარავს კახეთის რეგიონს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებით შექმნილი ახალი სისტემის გამოყენება ეკოლოგიასა და კლიმატს საფრთხეს არ უქმნის.

მედიანიუსი

# საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება 2014 წლის 1 სექტემბრიდან დროებით ამოქმედდება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის საბჭოს გენერალური სამდივნოსგან ოფიციალური ნოტა მოეწოდა ევროკავშირის მხრიდან ასოცირების შეთანხმების ნაწილების დროებითი გამოყენებისთვის აუცილებელი პროცედურების დასრულების თაობაზე.

თავის მხრივ საქართველოს საგარეო უწყებამ ევროკავშირის საბჭოს გენერალურ სამდივნოს საქართველოს მხარის ოფიციალური შეტყობინება ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლისთვის საჭირო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების თაობაზე 2014 წლის 25 ივლისს გადასცა.

შესაბამისად, ევროკავშირის პროცედურის მიხედვით, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების 431-ე მუხლის თანახმად, შეთანხმების კონკრეტული ნაწილების დროებითი გამოყენება დაიწყება 2014 წლის 1 სექტემბერს, — აცნობებს „მედიანიუსს“ საგარეო საქმეთა სამინისტროდან.

ამასთან, საგარეო უწყებაში აღნიშნიშნავენ, რომ ძალაში შევა ასოცირების შეთანხმების დაახლოებით 80 %, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის ჩათვლით.

ასოცირების შეთანხმების დროებითი გამოყენების პერიოდის განმავლობაში, მოქმედებას განაგრძობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ 1996 წლის 22 აპრილის შეთანხმების ის დებულებები, რომლებიც არ ექცევა ასოცირების შეთანხმების ნაწილების დროებითი გამოყენების ფარგლებში. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება სრულად დაკარგავს ძალას ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან.

მედიანიუსი

# აფეთქების შედეგად შესაძლოა ნახევარი გლდანი აღარ ყოფილიყო“

გლდანში მომხდარი აფეთქების შედეგად 10-მდე ავტომობილი და 5 მაღაზია დაიწვა. ამის შესახებ ერთ-ერთი მაღაზიის მფლობელმა განაცხადა. მისივე თქმით, მაღაზიების მეპატრონეებს საწყობებში ავტომობილების ნაწილები ჰქონდათ და დიდი ზარალი ნახეს.საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელ თემურ გიორგაძის განცხადებით, „მომხდარი აფეთქების შედეგად შესაძლოა, ნახევარი გლდანი აღარ ყოფილიყო“. ამის შესახებ გიორგაძემ გლდანში „გალფის“ ბენზინგასამართ სადგურზე გაჩენილი ხანძრის ჩაქრობის შემდეგ განაცხადა.

„მასშტაბური ხასიათის ხანძარი იყო და რაც მთავარია, ძალიან დიდი საშიშროება იყო, რომ 40-მდე სავსე რეზერვუარი აფეთქებულიყო. ჩათვალეთ, რომ შესაძლოა, ნახევარი გლდანი აღარ ყოფილიყო მსგავსი სიმძლავრის აფეთქების შემთხვევაში. რაც მთავარია, ახლა ხანძარი ლოკალიზებულია და აღარანაირი საფრთხე აღარ არის“, — განაცხადა გიორგაძემ.

პირველი რადიო

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზირებული სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის ჩხვლეტებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

# პუტინი კუთხეში მიმწყვდეულია და ნებისმიერს შეიძლება ეცეს“



ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ევროკავშირის კვალდაკვალ, რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციები შემოიღო. როგორც „ბიბისი“ წერს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ განაცხადა, რომ აშშ შეუერთდა ევროკავშირის მიერ მოსკოვისთვის დაწესებულ სანქციებს, რომელიც ენერგეტიკის, თავდაცვის და ფინანსების სფეროებს ეხება.

ობამას განცხადებით, ახალი ეკონომიკური ზომების მიზანია, რუსეთის ეკონომიკას მიაყენონ დარტყმა და ეს იქნება სასჯელი იმისათვის, რომ მოსკოვი აგრძელებს უკრაინის აღმოსავლეთში სეპარატისტების მხარდაჭერას.

„სერიოზული სანქციები, რომელიც დღეიდან შემოდის, მოწოდებულია იმისკენ, რომ რუსეთზე დამატებითი ზემოქმედება მოხდეს, მათ შორის ვლადიმერ პუტინის გარემოცვაზე და იმ კომპანიებზე, რომლებიც ხელს უწყობენ რუსეთის უკანონო ქმედებებს უკრაინის ტერიტორიაზე“, — განაცხადა ობამამ.

ჟურნალისტის კითხვაზე, ხომ არ ნიშნავს ახალი სანქციები ახალი „ცივი ომის“ დაწყებას, ობამამ განაცხადა, რომ ეს არ არის „ცივი ომი“, ეს არის კონკრეტული ზომა იმის გამო, რომ რუსეთს არ სურს აღიაროს უკრაინის უფლება თვითონ აირჩიოს საკუთარი მომავალი.

„თუ თქვენ მოუსმენთ უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს, თუ თქვენ მოუსმენთ უკრაინელ ხალხს, დაინახავთ, რომ ყველანი ისინი გამოხატავენ სურვილს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობები დაამყარონ. თუმცა, მათ არ შეუძლიათ დაუშვან ის, რომ რუსეთი აიარაღებს სეპარატისტებს, რომლებიც აღმოსავლეთ უკრაინაში დამანგრეველ ქმედებებს ახორციელებენ“, — განაცხადა ობამამ.

თავის მხრივ, ამერიკის სახელმწიფო მდივნის, ჯონ ქერის განცხადებით, უკრაინა საპასუხო ცეცხლის შეწყვეტისთვის მზადაა. „უნიანის“ ცნობით, ამის შესახებ ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ნიუ-იორკში უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ პაველ კლიმკინთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„პრეზიდენტმა პოროშენკომ მკაფიოდ განაცხადა და მინისტრმა კლიმკინმა დაადასტურა, რომ უკრაინელები მზად არიან საპასუხო ცეცხლის შეწყვეტისთვის ახლავე და არა მომავალში. ისინი გვთავაზობენ სამშვიდობო გეგმას, რომელიც ითვალისწინებს სერიოზულ და შინაარსობრივ დიალოგს რუსეთის მიერ მხარდაჭერილ სეპარატისტებთან საერთაშორისო მონაწილეობით, რადგან ხვდებიან, რომ ეს ერთადერთი გზაა, რომელიც ამ კრიზისს დაასრულებს“, — აღნიშნა ქერიმ.

მისივე თქმით, რუსეთი აგრძელებს აღმოსავლეთ უკრაინაში იარაღის, ფულის და ადამიანების შეყვანას. „ჩვენ ამ ყველაფრის მტკიცებულებები გვაქვს, მათ შორის რუსეთის ტერიტორიიდან უკრაინაში საარტილერიო და სარაკეტო დარტყმებთან დაკავშირებით და როდესაც რუსები ამბობენ, რომ სურთ კონფლიქტის დეესკალაცია, მათი მოქმედებები ამას არ ადასტურებს“, — განაცხადა სახელმწიფო მდივანმა.

მისივე თქმით, სეპარატისტები, რომლებიც რუსეთის მხარდაჭერას გრძნობენ, იარაღს არ დაყრიან და პოლიტიკური პროცესის მონაწილეები არ გახდებიან, თუკი რუსეთიდან ზეწოლას არ იგრძნობენ.

სახელმწიფო მდივანმა ასევე აღნიშნა, რომ თუ რუსეთი არ მიიღებს შესაბამის ზომებს კონფლიქტის დეესკალაციისთვის, ამერიკაც და ევროკავშირიც კიდევ უფრო გააფართოებენ ეკონომიკურ სანქციებს. „იმედი მაქვს, რომ ამის გაკეთება საჭირო არ იქნება, მაგრამ თუ რუსეთი ამას არ გააკეთებს, საერთაშორისო საზოგადოებას სხვა გზა არ ექნება“, — აღნიშნა ქერიმ.

„ბლუმბერგის“ ინფორმაციით კი, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენლებმა რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციები შეათანხმეს. ევროკავშირმა რუსეთის სახელმწიფო ბანკებს ევროპაში აქციებისა და ობლიგაციების გაყიდვა აუკრძალა, ენერგეტიკის დარგის მოდერნიზებისთვის აღჭურვილობის ექსპორტი დაბლოკა, რომელიც კონკრეტულად ნავთობის სფეროს ეხება.

გარდა ამისა, ევროკავშირმა აკრძალვა დააწესა ახალი კონტრაქტების გაფორმებაზე, რაც რუსეთში იარაღის, ელექტრონიკისა და სხვა აღჭურვილობის მიწოდებას ითვალისწინებს, რომლებიც შესაძლოა, საომარი მიზნებისთვის იყოს გამოყენებული.

სანქციები ძალაში შევა გამოქვეყნებისთანავე, 31 ივლისიდან.

რუსეთი არ აპირებს თავისი პოზიციის შეცვლას, მისთვის დასავლეთის მიერ დაწესებული უპრეცედენტო სანქციების მიუხედავად. ევროკავშირში რუსეთის ელჩმა, ვლადიმირ ჩიჟოვმა 30 ივლისს განაცხადა, რომ სანქციები შედეგს ვერ მოიტანს და ხელს ვერ შეუწყობს უკრაინაში კრიზისის მოგვარებას. რუსეთის ცენტრალური ბანკის განცხადებით, ის მიმართავს ადეკვატურ ზომებს, რათა დაეხმაროს ინსტიტუტებს, მათ შორის რუსეთში სიდიდით მეორე ბანკს, „ვითიბის“.

რუსი ოპოზიციონერი ბორის ნემცოვი მიიჩნევს, რომ ევროკავშირისა და აშშ-ის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ვერ შეაჩერებს.

„პუტინი ახლა კუთხეში მიმწყვდეული ვირთხასავით არის, რომელიც ნებისმიერს შეიძლება, ეცეს — უკრაინელებს ევროპული არჩევანისა და რევოლუციისთვის; დასავლეთს, რომლის ყიდვა ბოლომდე ვერ მოახერხა, რადგან ყველა შრიოდერი არ აღმოჩნდა; რუსებს, რომლებიც პროპაგანდისა და რეპრესიების მიუხედავად ყველა მხარს არ უჭერს და პირიქით, ეწინააღმდეგებიან“, — წერს პოლიტიკოსი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

ნემცოვი აღნიშნავს, რომ „პუტინი თავად ომია და ეს მთელმა მსოფლიომ და რუსეთმა უნდა გაიგოს“.

„სანამ ის კრემლშია, არავის ექნება სიმშვიდე — არც რუსეთს, არც უკრაინას და არც მსოფლიოს. მისი შეჩერება მხოლოდ რუს ხალხს შეუძლია და მხოლოდ მაშინ, როდესაც მიხვდება, რომ ამ გიჟმა რუსეთი ჩიხამდე და სიღატაკამდე მიიყვანა, მაგრამ ეს მალე ვერ მოხდება“, — წერს ნემცოვი.

# იაპონელებს ურჩევენ, იფიქრონ თუ რით გაათბობენ სახლებს



რუსეთის სახელმწიფო დუმაში აცხადებენ, რომ მას შემდეგ, რაც იაპონიამ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები დააწესა, უნდა იფიქროს თავის ეკონომიკაზე და არა კურილიის კუნძულებზე. ამის შესახებ განცხადება დეპუტატმა მიხეილ დეგტიარევმა გააკეთა, რომელიც რუსეთ-იაპონიის მეგობრობის კომიტეტს ხელმძღვანელობს.

„მათ არავითარ კუნძულებზე და რუსეთის მხრიდან დათმობებზე არ უნდა იფიქრონ. უნდა იფიქრონ, თუ როგორ გადაიხდიან თავიანთ ვალებს და რითი გაათბობენ თავიანთ სახლებს“, — განაცხადა დეპუტატმა.

შეგახსენებთ, რომ იაპონიის ხელისუფლებამ, უკრაინაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაფართოების გადაწყვეტილება მიიღო. მოსკოვმა აღნიშნულს უკვე უწოდა „არამეგობრული ნაბიჯი“, რომელიც ორი ქვეყნის ურთიერთობაზე უარყოფითად აისახება.

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ იაპონიის მინისტრთა კაბინეტის მდივანს იუსიხედე სუგას რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესებისათვის მადლობა გადაუხადა.

ამავე დროს, იაპონია ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყნის პოზიციას იზიარებს და ძლიერ შეშფოთებას გამოხატავს საფრანგეთის მიერ რუსეთისთვის ვერტმფრენმზიდ „მისტრალის“ გადაცემის გამო.

„ლიგა.ნეტის“ ინფორმაციით, ამის შესახებ ტოკიოში გამართულ შეხვედრაზე იაპონიის თავდაცვის მინისტრმა იცუნორი ონოდერამ ფრანგ კოლეგას ჟან-ივ ლე დრიანს განუცხადა.

იაპონელი მინისტრის თქმით, ტოკიო სერიოზულად არის შეშფოთებული რუსეთისთვის „მისტრალის“ გადაცემით აზიის უსაფრთხოებაზე პოტენციური ზემოქმედების გათვალისწინებით. მანვე აღნიშნა, რომ იაპონიას სურს რუსეთთან საფრანგეთის აღნიშნული გარიგება გადაიდოს.

„მთელი მსოფლიო აღელვებულია უკრაინაში არსებული ვითარებით და ჩვენც შეშფოთებით ვადევნებთ თვალს შეიარაღების გაძლიერებას რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში. ეს ვერტმფრენმზიდი გახდება მთელი მსოფლიოს შეშფოთების მიზეზი“, — განაცხადა ონოდერამ.

თავის მხრივ, საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ საფრანგეთს ესმის იაპონიის შეშფოთების, მაგრამ რუსეთს უკვე გადახდილი აქვს „მისტრალის“ მიწოდების საფასური. მისივე თქმით, ასეთ გარიგებებზე რომ გავრცელებულიყო ევროკავშირის სანქციები, საფრანგეთი საერთო წესებს დაემორჩილებოდა.

# ამერიკელები ჰილარი კლინტონის გაპრეზიდენტებას უჭერენ მხარს

ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა საპრეზიდენტო არჩევნებში ჰილარი კლინტონის გამარჯვებას უჭერს მხარს. კვლევა „სიენენმა“ ჩაატარა.



გამოკითხვის მიხედვით, თუ ყოფილი სახელმწიფო მდივანი 2016 წელს დანიშნულ არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, მოსახლეობის უმრავლესობა სწორედ მას მისცემს ხმას.

„რესპუბლიკელების“ სავარაუდო კანდიდატად და კლინტონის მოწინააღმდეგედ „სიენენმა“ მით რომნი დაასახელა. ტელეარხმა გამოკითხულებს ისიც ჰკითხა, თუ ვის მისცემდნენ ხმას, არჩევნები დღეს რომ ყოფილიყო — რომნის თუ ობამას. როგორც გაირკვა, ობამა რომნიზე 9 პროცენტით ნაკლებ ხმას დააგროვებდა.

ამასწინათ, ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ არჩევნებში მის მონაწილეობას შესაძლოა ხელი შეუშალოს შვილიშვილის დაბადებამ, რომელიც ქვეყანას შემოდგომაზე მოევლინება. იმის შესახებ, რომ ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი და ჰილარი კლინტონი პირველად გახდებიან ბაბუა და ბებია, ცნობილი გახდა აპრილში, როდესაც მათმა ქალიშვილმა ჩელსიმ განაცხადა, რომ ორსულადაა.

„შემოდგომაზე ბებია გავხდები და ვიცი, რომ ეს ჩემს ცხოვრებას შეცვლის. არ ვიცი თავს როგორ ვიგრძნობ, მე მინდა შევიგრძნო, როგორია გახდე ბებია. არ მინდა ფოკუსირება მოვახდინო იმაზე, რა იქნება ორი წლის შემდეგ“,— ამის შესახებ ჰილარიმ „ენბისისთან“ ინტერვიუს დროს საპრეზიდენტო გეგმებზე საუბრისას განაცხადა.

66 წლის ჰილარი წლის ბოლოსთვის გადაწყვეტს, მიიღებს თუ არა მონაწილეობას არჩევნებში.

მოამზადა ვერა მამულაშვილმა


● იყიდება 65 კვ მ ფართის ოროთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას ძეგლის გვერდით, მეტროსთან ახლოს, პრესტიჟულ ადგილას, ფასი შეთანხმებით. ტელ: 218-94-99; 599-37-58-83.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 35 კმ-ში 2000კვ.მ საკარმიდამო მიწის ხეხილიანი, დამუშავებული ნაკვეთი, სარწყავი და სასმელი წყლით. 1 კვ.მ-ის ფასი 3 დოლარი. ტელ: 568 65-74-86; 790-903296.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავებაშეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ოსტეოქონდროზის, მხედველობისა და სმენის დაქვეითების, სამწვერა ნერვის ანთების, რადიკულიტის, სახსრების, კუნთების დაავადებების, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების განკურნება სწრაფად, წამლების, აპარატურის და ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. თუ მკურნალობისთვის არ ხართ მზად, არ დაგვიკავშირდეთ. ტელ: 599-97-85-46. ბ-ნი ლევანი.

# რომან ფიფია: დინამო ფულს დაკარგავს, მაგრამ იშოვის ნათელ მომავალს

ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენაზე თბილისის დინამოს პრეზიდენტის რომან ფიფიას და ახალი მთავარი მწვრთნელის კახი გოგიჩაიშვილის პრესკონფერენცია გაიმართა.

უეფას ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ყაზახეთის „აქტობესთან“ ორ მატჩში მარცხის შემდეგ თბილისის „დინამოში“ ძირეული ცვლილებები განხორციელდა. გუნდიდან წავიდა მთავარი მწვრთნელი ჩეხი მიხალ ბილეკი, მისი თანაშემწეები და ძირითადი შემადგენლობის 11 ფეხბურთელი — გიორგი ლორია, გიორგი მერებაშვილი, ელგუჯა გრიგალაშვილი, ოთარ მარცვალაძე, გიორგი ხიდეშელი, დავით ხურცილავა, დავით კვირკველია, რაფა ჯორდა, ხორდი გარსია, რადეკ დოსოუდილი და პატრიკ ვუო.

**რომან ფიფია:**

— საზოგადოებასა და „დინამოს“ ქომაგებს ახალი ამბავი გვინდა გაგაცნოთ. საკმაოდ ვრცლად შეგვიძლია გავცეთ პასუხები თქვენს კითხვებს, ვინაიდან დადგა ის დრო, რის შემდეგაც აუცილებელი იყო ასეთი ძირეული გადაწყვეტილებების მიღება. მინდა „დინამოს“ ახალი მწვრთნელი, კახა გოგიჩაიშვილი წარგიდგინოთ. კახა არის ნამდვილი დინამოელი. შეიძლება დაგვიანებულია, მაგრამ ჩვენ ვუბრუნდებით ტრადიციებს, იმ ღირებულებებს, რასაც უნდა ატარებდეს, არა მხოლოდ ფეხბურთელი, არამედ მთავარი მწვრთნელიც. დავგეგმეთ გრძელვადიანი პროექტი, რომელიც აუცილებლად მიგვიყვანს გამარჯვებამდე. ამ წლების განმავლობაში აქტიურად ქომაგობდით ჩვენ გუნდს ბევრი თქვენგანი. ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რომ „აქტობესთან“ ასე არ გვეთამაშა. ჩვენი სტაფი, ის ადამიანები, დღე და ღამე მუშაობენ იმაზე, რომ გუნდს არაფერი არ აკლდეს. გუნდს საუკეთესო პირობები ჰქონდა, თუმცა შედეგს ვერ მიაღწია. პირადად ჩემი მოთმინება ამოიწურა და მე გადავწყვიტე გავაახალგაზრდავო გუნდი. ამას ალბათ ბევრი კრიტიკოსი გამოჩნდება ბევრი გამაკრიტიკებს, მაგრამ მზად ვარ ყველა კითხვას პასუხი გავცე. ამ გადაწყვეტილებას წინ არაფერი არ უდგას. უნდა მივცეთ „დინამოს“ და ამ ახალგაზრდებს საშუალება, რომ 2-3 წელიწადი შეთამაშდეს გუნდი და დადგეს ისეთი დღეები „დინამოში“, რომ ჩვენ ყოველ წელიწადს არ ვფიქრობდეთ ფეხბურთელებისა და მწვრთნელის შეცვლაზე. ძველი „დინამოდან“ ათიოდე ფეხბურთელი რჩება. ყველა ტოპ-ფეხბურთელი მიდის. სანამ მე ვპატრონობ ამ გუნდს, აქ ითამაშებენ მხოლოდ ისინი, ვინც „დინამოსთვის“ სულს და გულს დადებენ. არ გეგონოთ, რომ ჩემთვის ადვილია ამდენი ხანი ველოდო. მე ძალიან ემოციური ადამიანი ვარ და მინდა თქვენთან ერთად მივაღწიო გამარჯვებას, მაგრამ სასწაული არ ხდება. იყრება ძალიან დიდი ფული. იმასაც გეტყვით, რომ ეს მარტო ჩემპიონთა ლიგის თამაშის გამო არ მოხდა. ჩემპიონატი 16 გუნდამდე გაიზარდა. არალოგიკური სპარინგი მოგვიწყეს. იმ ბიჭებიდან, რომლებიც „დინამოში“ იყვნენ, ბევრი პროფესიონალია, მაგრამ მათ თავიანთ მოღვაწეობა სხვა გუნდებში უნდა გააგრძელონ. „დინამოში“ ბავშვები ითამაშებენ — 19-20 წლის ბიჭები.



ვეცდებით, რომ ყველაზე ნიჭიერმა ახალგაზრდებმა დაიკავონ ადგილი გუნდში. „დინამო“ იქნება ამ ფეხბურთელებისთვის ხიდი ევროპაში გასასვლელად. უმნიშვნელოვანესი თასი მოიპოვეს კახას მეთაურობით ჩვენმა ბავშვებმა გერმანიაში. ასეთი სულისკვეთებით და ჟინით, ასეთი „დინამოს“ სიყვარულით რომ ეთამაშა პირველ გუნდს, ასეთი ცუდი შედეგი არ გვექნებოდა. ახალგაზრდებს მინდა იმის ნდობა მივცე, არა მხოლოდ ჩვენი აკადემიის, არამედ ყველა ფეხბურთელს, თუ ის იქნება ღირსეული, ის აუცილებლად ნახავს ადგილს „დინამოში“.

***— თუ გქონდათ რაიმე გეგმა, როცა გუნდში პირველად მოხვედით და რა შესრულდა იმ გეგმიდან? ასევე, თუ მისცემთ კახა გოგიჩაიშვილს დროს და რას გულისხმობთ გრძელვადიან პროექტში?***

— როცა „დინამოში“ მოვედი, აქ სრული კატასტროფა იყო. ახლა ამაზე არავინ ლაპარაკობს. ვნახე, რა მდგომარეობაშია ქართული ფეხბურთი და „დინამო“. სწორედ ამის შემდეგ მივიღე კლუბის აკადემიის მშენებლობის გადაწყვეტილება. მთავარია, რომ ახალგაზრდებს მივხედოთ. იმ ბიჭებმა, რომლებიც უკვე გადასცდნენ გარკვეულ ზღვარს სხვაგან უნდა ნახონ ადგილი. მთავარია პროგრესი განვიცადოთ. ყველას ერთი სურვილი გვაქვს. პროგრესი რომ არ იყოს, პასუხს მე მომთხოვთ. ახლა ყველაფერი ახალი მწვრთნელის ხელშია. მას ექნება სამუშაოდ 1-2 წელი. ყველაზე მეტად ჩემთვისაა უსიამოვნო მწვრთნელთან იმაზე საუბარი, რომ დაკავებული პოსტი უნდა დატოვოს. რაც შეეხებათ წასულ ფეხბურთელებს: არაადეკვატური ხელფასები ჰქონდათ დინამოელებს. მე მრცხვენია კიდეც ზოგის გამჟღავნება. ხალხს 1.000 ლარი არ აქვს და 10.000 იღებდნენ ზოგიერთები. არ მინდა ამაზე საუბარი. მათ დატოვეს გუნდი, დარჩა მარტო ჩისკო, რომელსაც კონტრაქტი აქვს და ადამაიანი, რომელიც არავისზე ნაკლები დინამოელი არ არის დღეს. მომავალში ჩვენი კონტრაქტები, ფასები და ბონუსები იქნება ყველაფერი ინტერნეტში ატვირთული, რათა ყველას მიგიწვდებოდეთ ხელი და საჭიროების შემთხვევაში, „პასუხი მოთხოვოთ“ ფეხბურთელს, თავისი ხელფასიდან გამომდინარე.

***— „დინამოს“ მენეჯმენტის პრობლემა ჰქონდა. როგორც ვიცით, ირაკლი ვაშაკიძემ გუნდი დატოვა. თუ აპირებთ, რომ კარგად დაფიქრდეთ და ისეთი მენეჯმენტი შეარჩიოთ, რომ მომავალშიც ასეთი პრობლემები არ წარმოიშვას?***

— ყველაფერი ძნელია ჩვენს ქვეყანაში, პირველ რიგში პროფესიონალი კადრები. კითხვის დასმა ადვილია, პასუხის გაცემა უფრო რთულია. ჩვენი გუნდი დაკომპლექტებულია მაქსიმალურად კარგად. ყველას აქვს იმის საშუალება რომ იმუშაოს. რაც შეეხება ირაკლი ვაშაკიძეს, მან დატოვა თავისი ადგილი და ახლო მომავალში არ ვაპირებთ ამ რგოლის შევსებას, ვინაიდან მინდა, რომ ეს პირადად ახალი მწვრთნელის პრეროგატივა იყოს. ბატონმა კახამ თვითონ და მისმა სამწვრთნელო შტაბმა გადაწყვიტოს, ვინ მოვა და ვინ წავა. ჩვენ ქართველ ფეხბურთელებზე გავაკეთებთ აქცენტს და თუ მოვიყვანთ უცხოელს, მხოლოდ 21-22 წლის ახალგაზრდას, რომელიც ჩვენს ბიჭებზე არანაკლები იქნება საფეხბურთო დონით.

***— ვინ დაუშვა შეცდომა?***

— პირველ რიგში ჩემ თავს უნდა მოვთხოვო ამ შეცდომებზე პასუხი, მაგრამ შეცდომას ყოველთვის ჯგუფი უშვებს და არა ერთი კაცი. მე არასდროს ვხელმძღვანელობდი არც ერთს: ვინც წავიდა და ვინც დარჩა. არ მითქვამს, რომ მე ასე მინდა და ასე უნდა იყოს, მაგრამ არსებობენ მრჩევლები. ორი ცუდი ვარიანტიდან სხვა გზა რომ არ გაქვს და ერთი უნდა აირჩიო, შენ ხარ დამნაშავე. მნიშვნელოვანია, ვინ და როგორ გეხმარება ამ გადაწყვეტილების მიღებაში. ამიტომ მინდა, ეს საკითხი იმათ დავალო, ვისაც ესმით ფეხბურთი. ასეთები არიან ჩვენს გუნდში. თვითონ გადაწყვიტონ, არ მინდა მოვლენებს გავასწრო. მინდა მივცე საშუალება მათ. მინდა მივცე ახალგაზრდებს იმედი. მათ, ვინც ჩვენს აკადემიაში არიან და ზოგადად ქართულ ფეხბურთში. ასეთი რამ არ მომხდარა „დინამოში“. ადრე იყვნენ ავტორიტეტები, რომლებსაც ნაკლები სარგებელი მოჰქონდათ, ამიტომ ბავშვებს უნდა გავუღვივოთ იმედი და ვაგრძნობინოთ, რომ ჩვენს გუნდში თამაშის შანსი აქვთ. ჩემი პრიორიტეტი და პრინციპი ესაა. მე კახას ვაძლევ დროს და გთხოვთ ეს დრო მოგვცეთ ჩვენც. სხვა გზა არაა. აქ არაა იმდენი პროფესიონალი ფეხბურთელი, ამდენი საშუალება არ გვაქვს. რაღაც გზას უნდა გავყვეთ.

***— რა გაძლევთ ოპტიმიზმის საფუძველს? არაერთხელ იყო ქართულ ფეხბურთში შემთხვევა, როცა გუნდმა ახალგაზრდებზე გააკეთა აქცენტი, მაგრამ შედეგი ვერ მიიღო. რა შედეგი იქნება თქვენთვის სეზონის ბოლოს დამაკმაყოფილებელი?***

— ეს „დინამოს“ ისტორიაში ყველაზე არაპოპულარული გადაწყვეტილებაა, რომელიც მე მივიღე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამავდროულად ყველაზე სწორი გადაწყვეტილებაა. არიან ფეხბურთელები, რომლებიც ჩვენს გუნდში ყოფნას არ იმსახურებდნენ, თუმცა არიან ნამდვილი პროფესიონალებიც, რომლებიც თავის გზას ნახავენ. გუნდში ისეთი ფეხბურთელების გვყავდა, რომლებსაც ვერ ვუშვებდით, მას სარგებელი არ მოჰქონდა და სანაცვლოდ ახალგაზრდა, ნიჭიერი ბიჭები იჩაგრებოდნენ.

***— ეს ფეხბურთელები გუნდს დატოვებენ, როგორც თავისუფალი აგენტები, თუ ის გუნდი, რომელსაც მათი გამოსყიდვა მოუნდება, ფულს გადაიხდის?***

— მძიმე საკითხია. ძალიან ბევრს კონტრაქტი აკავშირებს ჩვენთან. ეს საკითხი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გადაწყდება. თუმცა მინდა გითხრათ, რომ „დინამო“ უფრო მეტს დაკარგავს, ვიდრე იშოვის. სამაგიეროდ, „დინამო“ იშოვის ნათელ მომავალს. სხვა გზა არ არსებობს. თუ ხედავთ, რომ სხვა გზა არის, მითხარით მეც და საზოგადოებას. ამ ვითარებაში, სადაც 16-მა გუნდმა უნდა ითამაშოს, რა პირობებშიც მოგვიწევს თამაში ყველა ხედავთ. სჯობს ახალგაზრდებს მივცეთ საშუალება.

***— როგორ შეწყდა კონტრაქტი გუნდის მთავარ მწვრთნელთან, ჩეხ სპეციალისტთან, მიხალ ბილეკთან?***

— შეგიძლიათ ბილეკს ჰკითხოთ, ვისი ბრალი იყო ეს შედეგი. ისინი ამბობენ, რომ ყველაფერი გააკეთეს, თუმცა, ჩემი აზრით, ცუდი შედეგი სამწვრთნელო შტაბის და ფეხბურთელების ბრალია. მე და ბილეკი შევთანხმდით, მოვგვარდით და დავშორდით! ეს ის გზა არაა, სადაც ბილეკი გვჭირდება. ევროთასების რომელიმე ჯგუფში რომ მოვხვედროდით, ბილეკს დავტოვებდი, ბევრ ფულსაც დავხარჯავდი, რადგან ამას აზრი ექნებოდა. „აქტობესთან“ პირველი ტაიმი ვითამაშეთ. მეორე ტაიმი ორჯერ უკეთესად უნდა გვეთამაშა და მოგვეგო, მაგრამ ეს ვერ გავაკეთეთ. როცა იცი, რომ აქ ქვეყანა გხვდება და ხალხი. 20.000 კაცი არ წასულა სტადიონიდან, ისე ქომაგობდნენ „დინამოს“. სწორედ ამიტომ ვიღებ ასეთ გადაწყვეიტლებას. ნეტა გენახათ, როგორ კოცნიან „დინამოს“ გერბს კახა გოგიჩაიშვილის ახალგაზრდა ფეხბურთელები. ხომ იცით, რომ ახლახანს გუნდმა „რურის თასი“ მოიგო. ასეთი ტურნირის მოგება კი, ადვილი არაა. „დინამოში“ ითამაშებს მხოლოდ ის, ვისაც თამაში უნდა! არავითარ შემთხვევაში არ იქნება დიდი ხელფასები. იქნება მხოლოდ პრემიები — პატარა ხელფასები და დიდი პრემიები! პრემიებზე გაზრდილი თაობა გვეყოლება.

***— დასაწყისში არსებული წარუმატებლობის შემთხვევაშიც მისცემთ კახა გოგიჩაიშვილს მუშაობის დროს? გვახსოვს, როგორ გაუშვით თანამდებობიდან გიორგი დევდარიანი.***

— თქვენ არ იცით, რა ხდებოდა უშუალოდ გუნდში. რა ურთიერთობა გვქონდა გიორგი დევდარიანთან. თქვენ მხოლოდ იმას ლაპარაკობთ, რასაც ხედავთ გარედან. კახასთან მოვილაპარაკეთ და მივეცით 2 წელი დრო. მესამე წელსაც იმუშავებს, მაგრამ აუცილებლად პროგრესი უნდა განაგრძოს. პირველ რიგში, თქვენ მოსთხოვთ მას პასუხს. 2-3 თამაში არაფერს ნიშნავს. ჩვენ ყველანაირად მთავარი მწვრთნელით გვერდით ვდგავართ და ყველაფერში დავეხმარებით.

***— ხომ არ გგონიათ, რომ ეს ცვლილებები დაგვიანებულია?***

— ცოტა ადრე რომ მომხდარიყო ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ჯობდა, მაგრამ ახლა იმ პიროვნებებს ვერ დავასახელებ, რომლებსაც ამაზე უნდა ეფიქრათ. ვაღიარებ, ერთ მომენტში სიტუაცია გამექცა. ყურადღება ვერ მივაქციე გუნდს, მერე პრობლემა გაიბერა და წავიდა. ის მომენტი არის რამდენიმე ადამიანის ბრალი, მაგრამ მათზე საუბარი არ მინდა.

***— თუ „დინამო“ მომავალ წელსაც იასპარეზებს ევროთასების შესარჩევ ეტაპზე, დაიმატებთ თუ არა ლეგიონერებს და გამოცდილ ფეხბურთელებს? ცხადია, ახალგაზრდული შემადგენლობით გუნდს ძალიან გაუჭირდება ევროსარბიელზე ასპარეზობა.***

— გადაწყვეტილებას ეტაპობრივად მივიღებთ. გუნდს ჰყავს მწვრთნელი და ჩვენ მას მოვუსმენთ. თუ დაგვჭირდება გაძლიერება, ეს მოხდება. 21-22-23 წლის ფეხბურთელებით, რომლებიც ერთი და ორი წლით კი არა, ხანგრძლივად დარჩებიან აქ და ჩვენს გუნდს გააძლიერებენ. დამთავრდა ის დრო, როცა ვფიქრობდით, ვინ მოვიყვანოთ და სად წავიყვანოთ! ახლა მხოლოდ გრძელვადიან პროექტზე უნდა ვიფიქროთ. ქართველი ბავშვები უნდა გავზარდოთ. თუ შევამჩნევთ, რომ რომელიმე პოზიციაზე პრობლემაა, დავიმატებთ ახალგაზრდა უცხოელ ლეგიონერს.

***— სახელფასო ზღვარი რა იქნება და რამდენად მყარია ზოგადად კლუბის ფინანსური მდგომარეობა? ასეთი გადაწყვეტილება იმიტომ ხომ არ მიიღეთ, რადგან ფიქრობთ, რომ ფულს ტყუილად ყრით?***

— ჩვენ მზად ვართ „დინამოში“ 10 და 15 მილიონიც დავხარჯოთ, თუ გვეყოლება 2-3 კონკურენტი ამ ქვეყანაში. ეს არის რეალობა დღეს. აქ ვცხოვრობთ და არ უნდა გავაფუჭოთ ბაზარი. არ ვარ მე დამანგრეველი. ვფიქრობ, დადგება საქართველოში დრო, როცა 4 გუნდი მაინც იქნება მაღალბიუჯეტიანი. ნახეთ, წელს ყაზახეთი 12 გუნდიდან 10 გუნდამდე ჩამოდის, იტალიაც ამცირებს გუნდების რაოდენობას და ჩვენ ვიზრდებით. ჩემთვის გაუგებარია, რის ხარჯზე ვზრდით ჩემპიონატში გუნდების რაოდენობას. კარგია 16-გუნდიანი ჩემპიონატი, როცა საშუალება გაქვს, ბიუჯეტი და მოედნები გაქვს, თორემ 18-გუნდიანი კიდევ უკეთესია! ყველა მეთანხმება რომ 16-გუნდიან ჩემპიონატში არ ღირს ძვირადღირებული ფეხბურთელებით თამაში. „ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაიაც ასე ფიქრობს. რამდენი იქნება მისი ფეხბურთელის ხელფასი არც გავეჯიბრები და არც გადმოვიტან „დინამოში“. ეს შემცირება არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ ხარჯებს გავურბივარ. ერთ რამეს გადაჭრით ვიტყვი, რომ ჩვენი ბიუჯეტი იქნება ყველაზე მაღალი საქართველოს ჩემპიონატში. ამაში დარწმუნებული ვარ!

**კახი გოგიჩაიშვილი:**

— მადლობა პრეზიდენტს დიდი ნდობისთვის. ვაცნობიერებ რაოდენ დიდი და მნიშვნელოვანი საქმის კეთება გვიწევს. „დინამომ“ შეცვალა კურსი და მოგვიწევს ახალი გუნდის მშენებლობა. უნდა შევქმნათ ბრძოლისუნარიანი გუნდი. გუნდიდან წავიდნენ ფეხბურთელები, დაწინაურდებიან ახალგაზრდები. „დინამოში“ ითამაშებს ის ვინც უკეთ იქნება მომზადებული და დადებს სულს და გულს მოედანზე. უახლოეს დღეებში ზუსტად მეცოდინება განათხოვრებული ფეხბურთელების შესახებ. ჩემპიონატი რამდენიმე დღეში იწყება და პირველ ეტაპზე ძალიან რთული სამუშაო გველის. მთავარი მიზანი ჩემპიონატში წარმატებით გამოსვლაა, რომლის სტარტამდე ძალიან ცოტა დრო რჩება. ამ მოკლე ხანში ფორსირებულად უნდა ვიმუშაოთ, რომ გუნდი საჭირო კონდიციამდე მივიდეს. მთავარი პრობლემა, ალბათ, შეთამაშება იქნება. ახალგაზრდებს აუცილებლად სჭირდებათ 3-4 გამოცდილი ფეხბურთელი. მაგალითად ჩისკო და რამდენიმე გამოცდილი ქართველი მოთამაშე. ერთად მათ წარმატებით ასპარეზობის კარგი შანსი აქვთ. მუშაობაში დახმარებას გამიწევენ სულიკო დავითაშვილი, ზურაბ ქვაჩახია და გელა ჭანტურია. ამ ეტაპზე ფიზმომზადების კუთხით ბონდო გოცირიძე იმუშავებს.

## მენავთობეები — ჩიხურას მორიგი მეტოქე

უეფას ევროპის ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე საჩხერის „ჩიხურა“ აზერბაიჯანის ყველაზე ტიტულოვან საფეხბურთო კლუბ ბაქოს „ნეფთჩის“ დაუპირისპირდება.

„ნეფთჩი“ 1937 წელს დაარსდა. 1968 წლამდე იგი „ნეფტიანიკად“ იწოდებოდა. „ნეფტინიკის“ სახელით უმაღლეს ლიგაში დებიუტი 1949 წელს ჰქონდა. შემდეგ რამდენჯერმე დატოვა ელიტა და კვლავ აღზევდა. პირველი მედალი საბჭოთა კავშირის პირველობაზე 1966 წელს მოიპოვა, როდესაც მე-3 ადგილი დაიკავა, რაც საბჭოეთის დაშლამდე მის ყველაზე დიდ მიღწევად ითვლებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბაქოელებმა აზერბაიჯანის ჩემპიონატი 9-ჯერ მოიგეს, ხოლო 6-ჯერ ქვეყნის თასს დაეუფლნენ. 2006 წელს, მათ „თანამეგობრობის თასზე“ გაიმარჯვეს. ამაში დიდი წვლილი ქართველმა ფორვარდმა გიორგი ადამიამ შეიტანა. „ნეფთჩიში“ ვალერი აბრამიძესაც უთამაშია.

„მენავთობეები“ აზერბაიჯანის ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბად ითვლება. მისი გენერალური სპონსორი ნავთობის კომპანია „სოკარია“, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც ასპონსორებს. გუნდის მთავარი მწვრთნელი ბეიუკაგა გაჯიევია. გუნდი საშინაო მატჩებს „ბაქსელ არენაზე“ ატარებს, რომელიც 11.000 გულშემატკივარს იტევს.

საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის პერიოდში, „ნეფთჩი“ ევროთასებზე ქართულ კლუბს ერთხელ შეხვდა. 2012 წელს, ჩემპიონთა ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე, ბაქოელებმა „ზესტაფონს“ შინ 3:0 აჯობეს, ხოლო ზესტაფონში 2:2 ითამაშეს და მე-3 საკვალიფიკაციო რაუნდში გავიდნენ.

„ნეფთჩიმ“ საწადელს ევროტურნირებზე მაინც მიაღწია პირველი აზერბაიჯანული კლუბი აღმოჩნდა, რომელმაც ევროპის ლიგის ჯგუფში ითამაშა.

31 ივლისს, საჩხერის „ჩიხურა“ ევროპალიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს ბაქოში ჩაატარებს, ხოლო 7 აგვისტოს აზერბაიჯანელებს თბილისში „მიხეილ მესხის“ სახელობის არენაზე უმასპინძლებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## შედეგები

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| სპარტა-მალმიო | 4:2 |
| სლოვანი-შერიფი | 2:1 |
| დებრეცენი-ბატე | 1:0 |

**ნორვეგია. ტოპლიგა**

| | |
|---|---|
| ვალერენგა-სტაბეკი | 3:2 |

**აშშ მლს**

| | |
|---|---|
| სიეტლი-ლოს ანჯელესი | 0:3 |

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 599-160-774. ქალბატონი ფიქრია

# თუმანიშვილის თეატრი ედინბურგის ფესტივალზეა

ეკა ირემაშვილი

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი ედინბურგის საერთაშორისო კინოფესტივალზეა. თეატრი ჯორჯ ორუელის ცნობილი რომანის 'ცხოველების ფერმა' მიხედვით ბრიტანელმა რეჟისორმა გაი მასტერსონმა დადგა. სპექტაკლში კინომსახიობთა თეატრის მსახიობები არიან დაკავებულები.**



სპექტაკლის მსოფლიო პრემიერა 31 ივლისს არის დაგეგმილი. დასი შოტლანდიაში 24-ჯერ ითამაშებს გაი მასტერსონის მიერ დადგმულ წარმოდგენას. პოლიტიკური იგავის მთავარი პერსონაჟები ცხოველები არიან, რომელთაც მკაცრად აქვთ გადაწყვეტილი, ადამიანებს არ დაემსგავსონ და ამისთვის მმართველობის სპეციფიკურ სისტემას ქმნიან, რომელიც საბჭოთა დიქტატურის ანალოგია. სპექტაკლზე მუშაობა და რეპეტიციები 6 კვირის განმავლობაში კინომსახიობთა თეატრში უწყვეტად მიმდინარეობდა. ამ სპექტაკლის დადგმას წინ უძღოდა ვნებათაღელვაც. როგორც სპექტაკლზე მუშაობის დაწყებამდე რეჟისორი ქეთი დოლიძე აცხადებდა, კულტურის სამინისტრო მხარდაჭერას აგვიანებდა: „რეჟისორი გაი მასტერსონი ორუელის „ცხოველების ფერმის" დასადგმელად მოვიწვიეთ. იმისთვის რომ კინომსახიობთა თეატრის რეპერტუარში „ცხოველების ფერმა" ყოფილიყო, უცხოელი რეჟისორის მოწვევა ნამდვილად არ დამჭირდებოდა, ქართველსაც დავაკავებდი. ეს საჭირო გახდა, იმიტომ, რომ მაკინტოშის კომპანიას ორუელის ოჯახთან ხუთი წლით აქვს შეთანხმება დადებული, რომ „ცხოველების ფერმის" დადგმის უფლება მაკინტოშის გარდა არავის აქვს. ჩვენ მოვიპოვეთ უფლება, რომ „ცხოველების ფერმა" დადგას ბრიტანელმა და მათმა საყვარელმა რეჟისორმა გაი მასტერსონმა, იმისთვის, რომ შემდეგ სპექტაკლი ედინბურგის ფესტივალზე წავიდეს. ძალიან დიდი პროექტია, რომელშიც კულტურის სამინისტრო ჩავრთე. ახლა უცბად აღმოჩნდა, რომ სპექტაკლის დასადგმელი ფული არის, მაგრამ წასასვლელი არა. ეს არ შეიძლება! სამმაგად ტყუვდებიან — ორუელის ოჯახი, რომლებმაც მთლიანად მოგვცეს საავტორო უფლება, გაი მასტერსონი და დარბაზი, რომელიც ერთი თვის მანძილზე გაცდება და ამას არავინ გვაპატიებს. ჩვენ უკვე ვზივართ პროგრამაში და ბილეთების გაყიდვა დაიწყო. მსოფლიოში უკვე ყველგან, სიტყვიერი თანხმობა იმის საწინდარია, რომ რაღაც უნდა გაკეთდეს. დიდი კომპანიებიც კი ხანდახან ტელეფონით ელაპარაკებიან და საქმეებს ასე წყვეტენ. ამიტომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ თანხმობა ოფიციალურად არ მოუციათ. შესაბამისად, ვცდილობთ კულტურის სამინისტრო დავარწმუნოთ", — აცხადებდა ქეთი დოლიძე, რომელმაც საბოლოოდ კულტურის სამინისტროსთან დადებით შეთანხმებას მიაღწია.

**ედინბურგის ფესტივალამდე „ცხოველების ფერმა" თბილისში მხოლოდ სამი დღით იქნა წარმოდგენილი.**

— ეს პროექტი ედინბურგის ფესტივალისთვის გაკეთდა, ბილეთების გაყიდვა 1 აპრილიდან დაიწყო. ედინბურგში, ჩვენ სპექტაკლზე, უკვე 1500-მდე ბილეთია გაყიდული, ნეტავ, რატომ? სპექტაკლი ამის შემდეგ ავტომატურად მიდის ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში! ეს სპექტაკლი ედინბურგის ესემბლი ფესტივალის, ფესტივალის „საჩუქარი" და თუმანიშვილის თეატრის ერთობლივი თანა-პროდუქციაა. მოსამზადებელი სამუშაოები ორველის სახლთან ერთად დაიწყო, რეპეტიციები და სპექტაკლის წარმოება კი მაისის თვეში დაიგეგმა. სპექტაკლის საერთაშორისო პრემიერა გაიმართება წლევანდელ ედინბურგის ფესტივალზე, „ჯორჯ სქვეარ თეატრის" დიდ დარბაზში. წინსმწრები ჩვენებები კი ჰოსორნ თეატრში, ჰერსფორშერის საგრაფოში, ინგლისში, დიდ ბრიტანეთში და თუმანიშვილის თეატრში. თბილისში მხოლოდ სამი სპექტაკლი ვითამაშეთ, იმიტომ რომ მეტის უფლება არ გვქონდა. ეს იყო მათი მოთხოვნა, ვინც საავტორო უფლებას ფლობს. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალი „საჩუქარი" ამაყობს, რომ საერთაშორისო თანაწარმოების და თანამშრომლობის პროექტი „ცხოველების ფერმა" ქართული თეატრის მსოფლიო მასშტაბით რეალურ ინტეგრირებას შეუწყობს ხელს და მსგავსი სახის ინიციატივებს წაახალისებს საქართველოში. მსოფლიო თეატრისა და შოუ-ბიზნესის ლეგენდა სერ კამერუნ მაკენტოში, რომელიც ლონდონის შაფტსბერი ავენიუდან ნიუ იორკის ბროდვეიმდე თეატრების მნიშვნელოვან ნაწილს ფლობს და მსოფლიოში გახმაურებული კომედიების მფლობელია, 2015 წლიდან გეგმავს „ცხოველების ფერმა" მათ რიგს მიამატოს. შესაბამისად წყდება ლიცენზირება ამ პიესისა და განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე მისი განხორციელება. მხოლოდ ორუელის სახლის გადაწყვეტილებით და ჩვენს საერთაშორისო პროექტში ტექსტის ადაპტაციის ავტორის, გაი მასტერსონის უშუალო მონაწილეობისა გამო, თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი ერთადერთი ლიცენზიანტი გახდა „ცხოველების ფერმა" მსოფლიო თეატრალურ ასპარეზს წარუდგინოს, რომლის წარმატებაც მიხეილ თუმანიშვილის ლეგენდარული დასის დონეზეა დამოკიდებული. ამ წამოწყების მნიშვნელობა და მისი ღირებულება მხოლოდ ქართული სახელოვნებო პოტენციალის საერთაშორისო იმპორტირება როდია, რაც თავისთავად უაღრეს კრედიტაბელურობას მატებს პროექტს, არამედ იგი მის რეალურ პერსპექტივაშია, რადგან ამ წარმოდგენით ავსტრალიისა და ახალი ზელანდიისკენ გზის გაკვალვა და შესაბამისად 30 წლის შემდეგ ქართული თეატრის მსოფლიო ლაშქრობის დაწყება იგეგმება. ეს კი უზარმაზარ პოლიტიკურ დივიდენდს წარმოადგენს ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალი „საჩუქარი" წარმატებებს უსურვებს პროექტის ყველა ინიციატორს, მონაწილესა და მხარდამჭერს და ქართული თეატრის ყველა მოამაგესა და მაყურებელს, — აცხადებს კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთი დოლიძე.

# დაბოღმილთა ექსპედიცია — მესამე შეტევა მანასლუზე



დღეს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ქართველმა მთამსვლელმა ბიძინა გუჯაბიძემ პრესკონფერენცია გამართა და მომავალი ექსპედიციის შესახებ ისაუბრა. გუჯაბიძესთან ერთად ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გოგა ასათიანმა.

31 ივლისს ქართველი მთამსვლელი ბიძინა გუჯაბიძე მორიგ საერთაშორისო ექსპედიციაში მიემგზავრება. თავდაპირველად ექსპედიციის სამიზნე ტიან შანში, სამხრეთ ენილჩეკის რეგიონში მდებარე მწვერვალი ხან-ტენგრია. 7.010 მეტრის სიმაღლის მწვერვალზე, ქართველი მთამსვლელი 10-ჯერ არის ასული, მათ შორის ერთ-ერთ ასვლა-ჩამოსვლას მან, მხოლოდ 15 საათი მოანდომა. ბოლოს ხან-ტენგრი გუჯაბიძემ 2005 წელს დალაშქრა.

ამჯერად კი ხან-ტენგრის ექსპედიცია, ერთგვარად მოსამზადებელი ასვლაც იქნება იმ ჰიმალაური ექსპედიციის წინ, რომელსაც ქართველი მთამსვლელი 5 სექტემბრიდან დაიწყებს. სწორედ, ამ ექსპედიციის წარმატებულად დასრულებისთვის ბიძინა გუჯაბიძე ტიან შანში ინგლისელ, ყირგიზ, აზერბაიჯანელ (შესაძლოა მონაწილეთა რაოდენობა და ქვეყნების რაოდენობა გაიზარდოს), ხან-ტენგრის მწვერვალზე საააკლიმატიზაციო ღამის თევასაც გეგმავენ.

ექსპედიცია, ტიანშანში სექტემბრის დასაწყისამდე გასტანს, 5 სექტემბერს კი ბიძიან გუჯაბიძე, ბიშკეკიდან ჰიმალაიში გადაფრინდება, სადაც მწვერვალ მანასლუს დალაშქვრას შეეცდება. დღემდე, 8.156 მეტრი სიმაღლის მწვერვალზე ასვლის მცდელობა, ბიძინა გუჯაბიძეს 1998 და 2009 წლებში ჰქონდა, თუმცა წარუმატებლად.

2014 წელს ბიძინა გუჯაბიძის ტიან შანისა და ჰიმალაის ექსპედიციებს „ჰელიქსირი" აფინანსებს.

**ბიძინა გუჯაბიძე:**

— ჩვენი ექსპედიცია ორნაწილიანი იქნება. ჯერ ცენტრალურ ტიან შანზე ვიქნებით, რათა აკლიმატიზაციის პრობლემა მოვაგვაროთ, სექტემბრიდან კი ჰიმალაიში გადავინაცვლებთ, სადაც მანასლუს შევუტევთ. ძალიან სერიოზული მთა არის — სწორხაზოვანი და მისი სამხრეთ კალთა ინდოეთის ოკეანისკენ მიდის. ამიტომაც იქ უხვად იცის ნალექი. ორჯერ ვცადე მასზე ასვლა, მაგრამ ორივეჯერ უშედეგოდ. პირველად 1998 წელს: მაშინ არც აღჭურვილობა გვქონდა სათანადო და არც ფსიქოლოგიურად იყო გუნდი მზად. მეორედ 2009 წელს გაზაფხულზე. ამ შემთხვევაში სწორედ ნალექმა შეგვიშალა ხელი — 6-ჯერ მოვყევით ზვავში და ამიტომ გადავწყვიტეთ ახლა შემოდგომაზე ასვლა. ჩემთან ერთად იქნება დიმიტრი გრეკოვი — ყირგიზი მთამსვლელი, ჩემი მეგობარი. სხვათა შორის, მასაც ორი წარუმატებელი ასვლა აქვს მანასლუზე, ამიტომაც „დაბოღმილების ექსპედიციას" ვუწოდებთ. ასვლა ალპური იქნება და ხანმოკლე. სავარაუდოდ, 5-6 დღეში უნდა დავლაშქროთ.

**გოგა ასათიანი:**

— ბატონი ბიძინა სერიოზული ექსპედიციისთვის ემზადება, ამიტომაც სამინისტრო ცდილობს ყველანაირად დაუდგეს გვერდით. აუცილებლად გვექნება ინფორმაციული მხარდაჭერა და მის ყოველ ნაბიჯს გავაცნობთ საზოგადოებას. ახლა კი წამატებები მომავალ ექსპედიციაში.

ბიძინა გუჯაბიძეს დღემდე, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დალაშქრული აქვს 300-მდე მწვერვალი, აქედან 6-რვაათასიანი, მათ შორის 2 წარმატებული ევერესტული ექსპედიციაა.

2013 წელს გუჯაბიძე პაკისტანში ნანგა-პარბატის ექსპედიციაში, კიდევ ერთ ქართველ მთამსვლელ აფი გიგანთან ერთად იმყოფებოდა. მაშინ, როდესაც ქართველები 6100 მეტრის სიმაღლეზე იყვნენ ასულები, ექსპედიციის საბაზო ბანაკში ტერორისტებმა 11 სპორტსმენი ჩაცხრილეს. პაკისტანის ხელისუფლებამ ტრაგედიის შემდეგ რეგიონში ყველა ექსპედიცია შეაჩერა, ქართველი მთამსვლელები კი სამხედრო ვერტმფრენებით სამშვიდობოს გამოიყვანეს.

# ქართველმა 16-წლამდელებმა უკრაინა ისევ იოლად დაამარცხეს

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა უკრაინელ თანატოლებს ისევ მოუგო. 23-ქულიანი გამარჯვების შემდეგ ქართველებმა მეორედ უკრაინელები შედარებით დაინდეს და 16-ქულიანი მარცხი აკმარეს.

როგორც ჩანს, ქართველ 16-წლამდელებს მომატებული აქვთ, რადგან ეს გუნდები გასულ თებერვალში თურქეთში, საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობდნენ და უკრაინელებს ქართველებზე უკეთესი თუ არა, ნაკლები თამაში არ უჩვენებიათ. სლავთა გუნდი წელს, 20-30 აგვისტოს „ა" დივიზიონში იასპარეზებს, ქართველებს კი ამ პერიოდში „ბ" დივიზიონში მოუწევთ ჭიდილი.

მეორე მატჩი ქართველებმა კვლავ მობილიზებულად და შემართებით ჩაატარეს. ძლიერი დასაწყისის (19:6) შემდეგ გია კაზანჯიანის გუნდი ოდნავ მოდუნდა და მეორე პერიოდი მეტოქეს 16:23 დაუთმო. მწვრთნელმა დროულად მიიღო შესაბამისი ზომები და მასპინძლებმა თამაში გაათანაბრეს, ბოლო პერიოში კი აშკარა უპირატესობას დაეუფლნენ და 64:48 გაიმარჯვეს.

საქართველოს ნაკრებში 15 ქულითა და 7 პასით დავით აფხაზავა გამოირჩა. პირველი მატჩის ბომბარდირმა ლევან ბაბილოძემ კი ამჯერად 13 ქულა მიითვალა. ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა ლუკა ბულაშვილს, რომელმაც 14 ქულა და 9 მოხსნა დააგროვა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## კალეიდოსკოპი

# ამერიკული წყვილი ბავშვს მანქანის საბარგულში ჩაკეტვით მკურნალობდა




პენსილვანიის შტატის ქალაქ პიტსბურგში მცხოვრები ოჯახური წყვილი შვილის სიბნელის შიშისგან განკურნებას მისი ავტომობილის საბარგულში ჩაკეტვით ცდილობდა. ლენჰარტების წყვილი ბავშვს მანქანის საბარგულში კანფეტებით იტყუებდა და იქ ამწყვდევდა. ატრაქციონების პარკში ყოფნის დროს ეს ქმედება მათ სამჯერ გაიმეორეს.

ლენჰარტების წყვილის აღმზრდელობითი მეთოდების შესახებ ბავშვებზე ზრუნვის სამსახურის წარმომადგენლებს ბავშვის უფროსმა ძმამ განუცხადა. ამის შედეგად ბავშვი მშობლების ნათესავებს გადაეცათ, ხოლო მათ წინააღმდეგ აღიძრა საქმე ბავშვის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ბრალდებით.

სასამართლოზე ჯეფრი და დანიელ ლენჰარტებმა განაცხადეს, რომ საბარგულში ჩამწყვდეულ ბავშვს ფანარი მისცეს და რომ მათი სახლიდან პარკამდე მანძილი 15 კილომეტრს არ აღემატება. მათ ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ნანობენ ჩადენილს. მოსამართლემ ბავშვის მშობლებს ფსიქოთერაპიის კურსების გავლა დააკისრა და ასევე ორი წლით პირობითი სასჯელი გამოუტანა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## h3xცეჯ3ლბ ,



**შვეულად:** 1. გამომწვარი თაბაშირი; 2. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 3. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 4. მინერალი, ნახევრად ძვირფასი ქვა; 5. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 11. ფულის ერთეული ავსტრალიაში; 12. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 14. აზიაში გავრცელებული კუზიანი ხარი; 16. რძის შაქარი; 17. ირანელი ჯარისკაცი; 19. გერმანელი მიკრობიოლოგი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია მედიცინის დარგში; 21. ქიმიური ელემენტი, მწვავე სუნის მქონე რუხი მოწითალო ფერის სითხე; 22. ყველაზე დიდი მდინარე საფრანგეთში.

**თარაზულად:** 6. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. ჩრდილო ამერიკაში მზარდი გიგანტური წიწვოვანი ხე; 8. ამერიკელ მწერალ სამუელ კლემენსის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. თურქული აბანო; 10. ოსური ცეკვა; 13. ცვალებადი მიმართულების სუსტი ქარი ზღვის სანაპიროზე; 15. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 18. ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ორგანიზმი; 20. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 21. ბეწვიანი ცხვრის ტყავისგან შეკერილი ქუდი; 23. ორკორპუსიანი გემი; 24. სამონასტრო კომპლექსი ადიგენის რაიონში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

**ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმდტ.ყტ,ეჯბ h3xცეჯ3ლტ.ბც გფცე[ტ.ბ5**

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ღვენთი; 2. ზღარბი; 3. ტარიბანა; 4. ბეშუმი; 6. მაჭახელა; 8. შტამბი; 11. ქარაშოტი; 12. დემეტრე; 16. ბელგა; 17. დერბი; 18. რისკი.

**თარაზულად:** 1. ღვეზელი; 5. სეიმი; 7. ჰაჯიბეი; 9. ნიტრატი; 10. სურდინა; 13. ბარნელა; 14. შაგალი; 15. ქერი; 19. ვერდერი; 20. ფელამუში; 21. სამთავისი; 22. დიჟონი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კავალერია; 2. აზურიტი; 3. კასიკი; 4. მარში; 5. ანკერი; 11. დრაივი; 12. გრაცია; 14. ქოცო; 16. სმეტანა; 17. იმპულსი; 19. სევილია; 21. შოუდუ; 22. კათხა.

**თარაზულად;** 6. მალვაზია; 7. დიაფანი; 8. შპრეე; 9. ოლანდი; 10. კლოდი; 13. ციცქა; 15. ასიმილაცია; 18. ფილიპსი; 20. მოკო; 21. შამანი; 23. საქართველო; 24. სლაიდი.

# სიტყვის გამტეხი“ — მარგველაშვილის პლასტელინის ბიუსტი და აქცია პრეზიდენტის რეზიდენციასთან



პლასტელინის ბიუსტი წარწერით „სიტყვის გამტეხი“ — „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ წევრებმა ამ ლოზუნგით პრეზიდენტის რეზიდენციასთან აქცია გამართეს და ქვეყნის პრეზიდენტი სიტყვის შეუსრულებლობაში დაადანაშაულეს. აქციის მონაწილეების განცხადებით გიორგი მარგველაშვილი ავლაბრის რეზიდენციაში არ უნდა შესულიყო. „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ წევრების პროტესტის კიდევ ერთი მიზეზი ის არის, რომ მათი თქმით რამდენიმე თვეა ვერ გაარკვიეს რა ფუნქცია ექნება ათონელის ქუჩაზე არსებულ შენობას, რომელიც თავდაპირველად პრეზიდენტის რეზიდენციისთვის იყო გათვალისწინებული.

„გავიდა ძალიან დიდი ხანი და ამ დიდი ხნის განმავლობაში ჩვენ პასუხი არ გვაქვს. ეს რეზიდენცია რჩება პრეზიდენტის რეზიდენციად, თუ ეს სტუდენტებს გადაეცემათ, ათონელის ქუჩაზე მშენებარე რეზიდენცია ვის დარჩება და ა.შ. კითხვები რჩება პასუხგაუცემელი.“ — განაცხადა „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ გამგეობის თავმჯდომარემ ლაშა გიორგაძემ.

პირველი რადიო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

# კაზანტიპის ფესტივალისთვის მზადება დაიწყო

ვალისადმი ინტერესი საკმაოდ დიდია. „კაზანტიპის“ ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაცია ამ დროისთვის 20.000 ადამიანმა უკვე გაიარა. „კაზანტიპის“ ვიზების მიღება ქართველი და უკრაინელი გოგონებისთვის იქნება უფასო, ისინი, უბრალოდ, უნდა შევიდნენ საიტზე და რეგისტრაცია გაიარონ. გარდა ამისა, საიტზე მიმდინარეობს გათამაშებაც, რომლის საშუალებითაც რამდენიმე ათასი ვიზა გათამაშდება, — აცხადებს ნიკიტა მარშუნოკი.

ფესტივალის ჩატარებას ანაკლიაში საზოგადოების მხრიდან აზრთა სხვადასხვაობა მოყვა. ნაწილი ფესტივალს მხარს უჭერს, ნაწილი კი საპროტესტო აქციებს მართავს. მთავრობის კანცელარიასთან „კაზანტიპის“ ფესტივალის საწინააღმდეგო აქცია გაიმართა. აქციაზე სასულიერო პირებთან ერთად მრევლიც იმყოფებოდა.

ბიზნესმენი ლევან ვასაძე გადაცემა „რეზიუმესთან“ საუბარში აცხადებს, რომ „კაზანტიპის“ ჩატარება მიხეილ სააკაშვილის ოცნება იყო:

„ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ დააპირისპირონ მამების თაობა ჩვენს ახალგაზრდებს. თითქოს ჩვენ მათ ვუკრძალავთ გართობას და დასვენებას. მეც ვყოფილვარ როკ კონცორტზე და ჯაზიც მიყვარს. ჯამფინგი და ბატუტზე ხტუნაობა ეს არის ფასადი... აბა იტყვიან, რომ ჩვენ მოვდივართ იმისთვის, რომ ღამე ღრეობა იყოს და ტაბლეტები გავავრცელოთ, სექსუალური გარყვნილება დავნერგოთ და ამისთვის შემოგვიშვითო? „კაზანტიპი“ არ არის მუსიკალური ფესტივალი. ის გაფორმებულია როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, მას აქვს ძალიან მკაფიოდ გამოხატული იდეოლოგია, იქ ხდება მასიური მოხმარება ნარკოტიკების. საქართველოში რომ ნარკოტიკების მოხმარება მიუღებელია, ვიცით, მაგრამ კიკეთში ყოველ ზაფხულს ტარდება „კიკეთი ოპენ აირ“, სადაც სასწრაფო სასწრაფოზე მოდის, გაყავთ ახალგაზრდები. ეს იცის ყველამ, მაგრამ ერთხელ არავინ დაუკავებიათ იქ ნარკოტიკების გავრცელება-მოხმარებაზე. კაზანტიპი მიმაჩნია სექტანტურ ორგანიზაციად, ამ ტიპის ღონისძიებებს რაღაცა ძალა მფარველობს, მე არ მინდა მისტიციზმებში გადავვარდე, რომელიც მართავს ყველაფერს, მათ შორის ჩვენს პოლიციასაც. ვინ დამაჯერებს, ახლა პოლიციამ არ იცის კიკეთში რა ხდება?! შეხედეთ კადრებს, „კიკეთი ოპენ აირ“-ის მერე გამობენტერებული ბავშვების სახეებს და რომელი მათგანია ფხიზელი?! იგივე ხდება კაზანტიპზეც — ნარკოტიკები ერთი პრობლემა, გარყვნილება, ჯგუფური სექსუალური ვაკხანალია — მეორე. ბატონი სიგუა რომ ადვოკატობს ახლა, საკუთარ მეგრულ გვარს მაინც სცეს პატივი. არგუმენტი იმის შესახებ, რომ ეს ფულს შემოიტანს, არის უბადრუკი. საქართველოში მილიონზე მეტი ტურისტი შემოდის წელიწადში და 10.000 ტურისტის ჩამოსვლა, ელემენტარული არითმეტიკაა, 1 პროცენტია. მიშას ოცნება იყო, რომ მთელი საქართველო კაზანტიპად ექცია. არ გვახსოვს?! ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი პრეზიდენტი მოუწოდებდა ახალგაზრდებს კომკავშირული ტიპის ბანაკებში ბუჩქებში სიყვარულისკენ. ამ კაცის ოცნება იყო. მე არ მესმის ახალმა ხელისუფლებამ, რომელმაც დაამხო ის ხელისუფლება, რატომ გადაწყვიტა ჩაატარებინოს კაზანტიპი.“

ლევან ვასაძე, ზვიად ტომარაძე და სოსო მანჯავიძე პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს „კაზანტიპის“ ფესტივალის საწინააღმდეგო პეტიციით მიმართავენ. როგორც პეტიციაშია ნათქვამი, ფესტივალი ემსახურება გარყვნილების დანერგვას და მიმართულია ტრადიციული ღირებულებების წინააღმდეგ.

„მოგეხსენებათ, რომ ამა წლის 20-დან 30 აგვისტოს ჩათვლით, ანაკლიაში დაგეგმილია, თავის დროზე „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ინიცირებული, ეგრეთწოდებული „კაზანტიპის ფესტივალის“ გამართვა. აღნიშნული ფესტივალის კონცეფცია და მისი მრავალწლიანი პრაქტიკა ადასტურებს, რომ ის ემსახურება გარყვნილების დანერგვას და ტრადიციული ღირებულებების წინააღმდეგ არის მიმართული. ასევე ცნობილია, რომ ეს ფესტივალი არის ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების მასიურად მოხმარების ადგილი. რაც კიდევ უარესია მისი ორგანიზატორები მას არ მიიჩნევენ უბრალოდ მუსიკალურ ფესტივალად, გაფორმებული ჰყავთ ეს ორგანიზაცია „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ სტატუსით, ჰყავთ „მთავრობა“ და აქვთ საკუთარი „კანონები და წესები“. ამრიგად მათი ფესტივალის ტერიტორიაზე ისინი ცნობენ ამ არალეგიტიმურ წარმონაქმნის სტრუქტურებს. ამგვარად ისინი არღვევენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის იურისდიქციას და არიან არა ფესტივალის, არამედ მკვეთრად გამოხატული სექტის თვისებების მატარებელი ორგანიზაცია. მიგვაჩნია, რომ ამგვარი ღონისძიების საქართველოში ჩატარება არღვევს საქართველოს კანონმდებლობასა და საზოგადოებრივ წესრიგს, შეურაცხყოფს საზოგადოებას და იწვევს სამართლიან აღშფოთებას. აქედან გამომდინარე ღონისძიების მიმდინარეობისას მოსალოდნელია უმართავი პროცესების განვითარება. ჩვენი კონსტიტუცია კი კრძალავს საზოგადოებაში დაპირისპირებისა და შუღლის გამომწვევი ღონისძიებების ჩატარებასა და მხარდაჭერას. ზემოთ მოყვანილ არგუმენტებთან შედარებით უსუსურია დამატებითი ტურისტული შემოსავლების არგუმენტის მოყვანა. ჩვენს ქვეყანას ისედაც არ აკლია ტურისტების მოძალება, ეს სექტორი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორია ჩვენ ეკონომიკაში და „კაზანტიპის“ მსგავსი შემოსავლები არ არის არც აუცილებელი და არც მისაღები მისთვის, განსაკუთრებით იმ მავნებლობასთან და საფრთხეებთან შეწონვით, რომლებზეც მოგახსენეთ. გაუგებარია, რა მოსაზრებების გამო დათანხმდა ქართული სახელმწიფო საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის კატეგორიულად მიუღებელი ფესტივალის ჩატარებას. დაუშვებელია, რომ საზოგადოების ნების იგნორირება ნორმად გადაიქცეს. იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველოს მთავრობა გაითავისებს პასუხისმგებლობას, არ დაუპირისპირდება საზოგადოებას და არ დაუშვებს ამ ფესტივალის გამართვას.“

კაზანტიპთან დაკავშირებით განცხადებას სტუდენტთა უფლებების ლიგაც აკეთებს:

„საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგა ემხრობა კაზანტიპის ფესტივალს, რომელიც ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარებისკენ არის მიმართული. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია გვპირდება, რომ ყველა უკანონო ქმედება იქნება აღკვეთილი, ამიტომ მოსახლეობას შეუძლია იყოს მშვიდად რადგან არანაირი ნარკოტიკების მოხმარება, არანაირი აკრძალული პრეპარატები არ იქნება გამოყენებული კაზანტიპზე. როგორც გვპირდებიან ამის უზრუნველყოფას მოახდენს საქართველოს ძალოვანი სტრუქტურები. ჩვენ მოვუწოდებთ მათ ყოველივე ამისკენ და გვჯერა, რომ ისინი თავიანთ საქმეს შესანიშნავად შეასრულებენ. აქედან გამომდინარე უკანონობის ვერანაირ საშიშროებას ვერ ვხედავთ. პირიქით ასეთი ღონისძიებები რაც შეიძლება მეტი უნდა ჩატარდეს რათა განვითარდეს ადგილობრივი რეგიონის ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობა, წარმოუდგენელი რეიტინგით მოიმატებს რეგიონის ცნობადობა ტურისტებში, მოიმატებს ეკონომიკური სარგებელი და ა.შ. ეს ხომ შესანიშნავი საშუალებაა მივიღოთ ამდენი სარგებელი კაზანტიპის ღონისძიებით და რატომ უნდა ვთქვათ უარი. ზაფხულის ეს შესანიშნავი 10 დღიანი ღონისძიება და ჩვენი აზრით საზოგადოების უმრავლესობა დარჩება კმაყოფილი. ჩვენ უბრალოდ მოვუწოდებთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელს გიორგი სიგუას, რომ აღნიშნული ფესტივალის ბილეთების ფასი გაიაფდეს რათა სტუდენტებს და არა მარტო მათ საშუალება მიეცეთ დაესწრონ მას. აქვე გამოვეხმაურებით კაზანტიპზე დაგეგმილ აქციას და ვიტყვით, რომ მათ ვისაც სურს დაესწრონ კაზანტიპს ეძლევათ ამის საშუალება და ვისაც არა სრული უფლება აქვთ, რომ არ დაესწრონ და ამაში უარყოფითს ვერ ვხედავთ..საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგა კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ ჩვენს აზრს, რომ მივესალმებით ფესტივალებს, რომლებიც არის მიმართული ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარებისკენ.“

საზოგადოების ვნებათაღელვას უერთდება საქართველოს საპატრიარქოც და სპეციალურ განცხადებას ავრცელებს:

„გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გადაწყდა, რომ გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდეგ ე.წ. „კაზანტიპი“ ა.წ. 20-30 აგვისტოს ჩატარდება საქართველოში, მაცხოვრის კვართისა და ღვთისმშობლის სამოსლის მცველ ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში და თანაც მარიამობის მარხვაში. ,,კაზანტიპის“ მომწვევის, ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, გიორგი სიგუასა და უკრაინაში ამ ,,ფესტივალის“ დამაარსებლის, ნიკიტა მარშუნოკის თქმით, ,,წელს ანაკლიაში არ იქნება ნარკოტიკები და თავისუფალი სექსი, მაგრამ იქნება ხმა, განათება, კარგი განწყობა და სიყვარული“. ღონისძიებას სახელიც შეუცვალეს (,,რეალობის ანტირეალობა“ დაარქვეს) და, ალბათ, კიდევ სხვა საშუალებებითაც შეალამაზებს, მაგრამ, ანტიდისკრიმინაციული კანონის მსგავსად, არსით იგი მაინც უცვლელი დარჩება და ეს ლოგიკურიცაა (უკრაინაშიც თავდაპირველად ეს საქმიანობა შედარებით რბილი ფორმებით დაიწყეს და შემდეგ მიიღეს ის სახე, რაც დღეს აქვთ). ,,კაზანტიპს“ სწორედ აღვირახსნილობის გამო სტუმრობს ამდენი ,,ტურისტი“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. მათ სწორედ მასობრივი ორგიები და თავაშვებულობა იზიდავთ და არა მუსიკა ან რაიმე კულტურული ღონისძიება, მით უმეტეს ჩვენი ქვეყნის აღორძინების სურვილი. არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ცოდვა ყველა დროში არსებობდა, მაგრამ დღეს მისი არა თუ ლეგალიზება, შეიძლება ითქვას, იძულებითი დანერგვა ხდება როგორც სარწმუნოების, ისე ზნეობისა და ეროვნული ფასეულობის დამცირების ფონზე; ამგვარ ვითარებაშიც კი ,,რეალობის ანტირეალობა, — კაზანტიპი“ მკვეთრად განსხვავებული მოვლენაა, რადგან გარყვნილების ასეთი მასშტაბური ფორმა არასდროს მოუფიქრებიათ. ასეთი უზნეობა ყოვლად მიუღებელია ნებისმიერი სარწმუნოების ადამიანისათვის. ჩვენი აზრით, ჩვენს საზოგადოებას ხმა არ მიუცია საქართველოს სახელმწიფოს ამ მიმართულებით განვითარებისათვის. საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა და იგი არ შეიძლება გახდეს აღვირახსნილობის ხელშემწყობი. რა თქმა უნდა, გვესმის ისიც, რომ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფ ადგილობრივ მოსახლეობას, ლამის, სიცოცხლის ფასად უღირს ის შემოსავალი, რაც მათ ბინების ან ტერიტორიის გაქირავების ფასად შეიძლება აიღონ, გვესმის, რომ ახალგაზრდებს, შეიძლება მოუნდეთ რეკლამირებულ სანახაობებზე მისვლა, ხელისუფალთ, ალბათ, ინფრასტრუქტურის განვითარებაც სურს... მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამ ფესტივალში ნებისმიერი სახით მონაწილეობა და მისი მხარდაჭერა უმძიმესი შედეგების მომტანი იქნება ქვეყნისთვისაც და ცალკეული პიროვნებებისთვისაც. ეკლესია, სულიერ შვილებზე ზრუნვიდან გამომდინარე, ვალდებულია, ამის შესახებ გააფრთხილოს საქართველოს მოსახლეობა.“

ტელეწამყვანი ნიკა ქავთარაძე კი აღნიშნავს, რომ:

— ბიჭებს, რომლებსაც „კაზანტიპზე“ საკუთარი შეყვარებულები, მეგობარი გოგოები, ცოლები არ მიჰყავთ, არიან გაიძვერები. ბიჭებს, რომლებსაც უკრაინელი გოგოები ჰგონიათ უკეთესები, არიან ბრიყვები — მოექეცით ისევე ქართველ გოგოებს, როგორც უცხოელებს. უთხარით იმდენი კარგი სიტყვა, რამდენსაც უცხოელებს ეუბნებით. გაეპრანჭეთ ქართველ გოგოებს ისე, როგორც უცხოელებს და ქართველი გოგოები მოგექცევიან 1000-ჯერ უფრო კარგად, ვიდრე ნებისმიერი გოგო სამყაროში.

ეკა ირემაშვილი

ცფვუქჯდბფჳჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ



## იგორ გადელიას გახსენება

31 ივლისი შენი დაბადების დღეა. ორი წელია ამ დღეს უშენოდ აღვნიშნავთ. თუმცა, ისეთი განცდა გვაქვს, რომ არსად წასულხარ, ისევ აქ ხარ, ჩვენ გვერდით, ჩვენთან ერთად. თითქოს იმ შორეული სამყაროდან უჩუმრად გვეხმიანები, გვამხნევებ, მიგვანიშნებ, რომ გარდაცვალებით არ მთავრდება ყველაფერი, გარდაცვალება მხოლოდ სხვა განზომილებაში გადასვლა და სიცოცხლის სხვა ფორმით გაგრძელებაა.

დრო არ აშუშებს ტკივილებს. ის მხოლოდ ტრანსფორმაციას განიცდის. სევდასთან ერთად ჩნდება იმის განცდა, რომ, შენ ყოველ ჩვენგანში აგრძელებ სიცოცხლეს, შენი სიტყვებით, ღიმილით, ომახიანი შეძახილით, შენი განსაკუთრებული ბუნებითა და მომხიბვლელობით.

გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენო ძვირფასო! გვიყვარხარ, გვახსოვხარ და გვენატრები...

ოჯახი, ახლობლები

ცფვუქჯდბფჳჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ჳზბქტ,ფ .ჯდტქლქტ7
რდბჰბს უფჰლფ7 !@–ლფყ!& ცფფსფვლტ8

## TV პროგრამა

ხუთშაბათი
31 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30, 00.30 "დღეს" 14.30 "ჩვენი ეზო" (ოთხშ. გ/ჩვ) 15.00, 21.00 ტ/სერ. "დეტექტივი" 17.00 ტ/სერ. "ჭორიკანა 18.30 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 19.15 "შემოძახილი" 22.00 "არენა" (პ/ტრ) 23.00 "უცნობი მუსიკა" 02.30 "შემოძახილი" (გ/ჩვ)

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 ტ/სერ. "ნიკოლა ლე ფლოკი" 10-სერ. 11.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "კარიბის კუნძულები" 11.30 გააგრძელე საქართველოს ისტორია – კონსტანტინეპოლის დაცემა (კვირ. გ/ჩვ) 14.00 ტ/სერ. "ნიკოლა ლე ფლოკი" 11 სერ. 16.00 დ/ფ "ალშფოთებული" 19.00, 22.00 ტ/სერ. "ნიკოლა ლე ფლოკი" 12-13 სერ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 23.00 მხ/ფ "ობოლი"

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა. 10.03 სერ. "ბედის ანაბარა" 11.20, 16.50 SV - მარკეტი 11.30 სერ. "შურისმაძიებელი" 12.30 დღის შოუ (პ/ე) 14.45 სერ. "სიყვარული" ცა და მიწა" 17.45 სერ. "მინდა გახსოვდე" 18.50, 19.03 სერ."ბამბის ველი" 21.00 სერ. "შავი ვარდი" 22.00 სერ. "20 წუთი" 4 სერ 23.00 სერ. "კენედები" 3 სერ. 00.00 მხ/ფ "დაუსრულებელი სიცოცხლე" (ჯ.ლოპესი) 01.55 მხ/ფ "ჰენრის დანაშაული" (ვ.ფარმიგა)

06.30 სერ. "არ დამივიწყო" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "მათრობელა სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "ეზელი" 18.45 სერ. "სტამბოლის ცა" 19.45 სერ. "ქალბატონი დილა" 22.00 პროფილი 00.00 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტ.)

08.00 GDI დილა 10.00, 19.00 სერიალი "ლენა" 11.00 TOP 10 12.00 URBAN STORIES 12.00, 14.30 SONG STORY 13.00 სტილის სამყარო 13.30, 17.00 მისტერ ამიკო 14.00 კიბერჰაუსი 14.45, 16.30, 17.30 მინიპედია 15.00 ბინა 18 15.50, 16.45, 17.45, 21.45 ქვიშის ზღაპრები 16.00 დ/ფ "მსოფლიო ზემოდან" 18.00 დ/ფ 20.00 დ/ფ 21.00 ლეგენდა 22.00 მხ/ფ 00.15 მუსიკა

06.10 საგალობელი 06.20 მხ/ფ "ფატიმა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ჩვენი ფონდი 11.05 ქართული ალბომი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "ვედრება" 13.15 ივერიის ეკლესია 13.30 კონცერტი - ნანა კალანდაძე 15.05 ტელეზღაპარი 15.25 ირაო 15.50 დ/ფ "მე ხომ ლოცვად მინდა" პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 "პორტრეტები" 20.15 მოკ./ფ. "ქოლგა" 20.40 ძილი ნებისა 20.55 შვიდგზის ლოცვა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.35 დ/ფ "ლახტის გაკვეთილი" 22.25 "დრო და ტრადიციები" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ლაზი ვორე,ლაზი ქართველი ჭანი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "ბაში-აჩუკი"

მაესტრო 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.10 სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) 8.40, 22.00, 1.45 "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ახალი ამბები 9.30 "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) 10.03, 11.03 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული" (ბ) 12.30 SV 11 მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) 13.03, 14.03 სერიალი "ასი" 15.40, 16.03, 17.03 სერიალი "1001 ღამე" 18.40, 19.03 სერიალი "თანაგრძნობა" 20.03 სერიალი "დაკარგული დრო" 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ"ე 22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.30 სერიალი "მომავლის გაელვება" 0.30 ბრძოლა წესების გარეშე (სპორტული შოუ) 1.20 გადაცემა "ურბანსპორტი"(გამ.) 2.20 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ)

გჰჯუჰფგტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ
ვბყაჯჰფდჰბც4 ყტ,ფჰსდბს

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


31 ივლისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1.7526

ევრო — 2.3571

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9752

100 რუსული რუბლი — 4.9998

## ამინდის პროგნოზი 31 ივლისისთვის




## კალეიდოსკოპი

### ველოსიპედით დედამიწის გარშემო



იოშკარ-ოლელი 23 წლის რომან კურზენევი ველოსიპედით დედამიწის გარშემო სამოგზაუროდ გაემგზავრა. ყმაწვილის გეგმის მიხედვით მან დღეში დაახლოებით 100 კილომეტრი უნდა გაიაროს, ხოლო მთელი მსოფლიოს შემოვლას შვიდი წელი მოანდომოს. აღსანიშნავია, რომ კურზენევი ვეგეტარიანელია და გზაში მხოლოდ ხილითა და ბოსტნეულით აპირებს შიმშილის დაკმაყოფილებას.

ველოსიპედისტმა მგზავრობა რუსეთიდან დაიწყო. მისი მგზავრობის პირველი პუნქტი პეტერბურგი იყო, მოინახულა ჩებოქსარი და ნიჟნი ნოვგოროდი. იქიდან კურზენევი ბაიკალისკენ დაიძვრება, ხოლო ამის შემდეგ თუ როგორ გაგრძელდება მისი მოგზაურობა, უცნობია. ყმაწვილი 201 ქვეყნის მონახულებას აპირებს.

ამ მოგზაურობაში კურზენევს თან აქვს ნოუთბუქი, ტელეფონი და ფოტოაპარატი. ის თავის მოგზაურობაზე სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზე ისაუბრებს, ხოლო საკუთარ კვებაზე დღეში მხოლოდ ორი დოლარის დახარჯვას აპირებს.

### ჯასტინ ბიბერმა და ორლანდო ბლუმმა იჩხუბეს



ესპანეთის კუნძულ იბიცაზე მდებარე რესტორან კიპრიანისში ორლანდო ბლუმმა და ჯასტინ ბიბერმა იჩხუბეს.

ორივე ცნობადი სახე, რომლებიც ერთმანეთს ვერ იტანენ, მეგობრების გარემოცვაში იმყოფებოდა და სხვადასხვა მაგიდასთან ატარებდნენ დროს. თვითმხილველთა თქმით, მომღერალმა თავს უფლება მისცა, ეუხეშა მსახიობის ყოფილი მეუღლის, ტოპ-მოდელ მირანდა კერის მისამართით. მან ბლუმს უთხრა: ,,ის მშვენიერი იყო“, ამით იმაზე მიანიშნა, რომ მის მეუღლესთან ინტიმური კავშირი ჰქონდა. მსახიობი ამ რეპლიკამ მწყობრიდან გამოიყვანა და შეურაცხმყოფელს მივარდა.

მათი შეტაკება ვიდეოზე გადაიღო და ფეისბუქში გამოაქვეყნა ერთ-ერთმა თვითმხილველმა. მან ასევე აღნიშნა, რომ იქ მყოფები კმაყოფილებით შეხვდნენ იმ ფაქტს, რომ ბლუმმა ბიბერს მუშტი სთხლიშა.

ორ ცნობილ ვარსკვლავს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ 2012 წელს დაიძაბა, როდესაც ბიბერი მოდების ჩვენების დროს, რომელშიც კერი იღებდა მონაწილეობას, კულისებში შენიშნეს. პრესამ მაშინვე გაავრცელა ინფორმაცია, რომ მომღერალი პოდიუმის ვარსკვლავს უკან დასდევდა. ხოლო ვინაიდან 2013 წელს კერი და ბლუმი ერთმანეთს დაშორდნენ, პრესაში დაიწერა, რომ წყვილის დაშორებაში თავისი წვლილი ბიბერთან დაკავშირებულმა ისტორიამაც შეიტანა, თუმცა მათ ისედაც საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. მეუღლესთან დაშორების შემდეგ ბლუმი რამდენჯერმე შენიშნეს სელენა გომესთან ერთად, რომელიც ადრე ბიბერის მეგობარი გოგონა იყო.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის მაისში მირანდა კერის გამო კიდევ ორ მამაკაცს შორის მოხდა დაპირისპირება. კონფლიქტს ადგილი ჰქონდა ავსტრალიელ მილიარდერებს ჯეიმს პაკერსა და დევიდ გაინჯელს შორის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კაზანტიპის ფესტივალისთვის მზადება დაიწყო




ანაკლიაში საზაფხულო სეზონი გაიხსნა და კაზანტიპის ფესტივალისთვის მზადებაც დაიწყო. აქ მოეწყობა კემპინგი, სადაც 5000-ზე მეტი ადამიანი განთავსდება. ელექტრონულ ფესტივალზე დასწრების მსურველთა დიდი რაოდენობის გამო, ორგანიზატორებმა კაზანტიპის საზღვრების გაფართოება გადაწყვიტეს. კაზანტიპის ტერიტორია 450.000-მდე კვ.მ-ს მოიცავს, ზღვის სანაპირო ზოლი კი 2800 მეტრს აჭარბებს. ორგანიზატორების განცხადებით, ყირიმთან შედარებით ფესტივალი ანაკლიაში გაცილებით დიდ ტერიტორიას იკავებს. ბარების, დისკოტეკებისა და ბუნგალოების გარდა, კაზანტიპის ტეროტორიაზე მოხვდა ანაკლიის აკვა-პარკიც.

კაზანტიპი — ეს არის 22-წლიანი მასშტაბური ინტერნაციონალური მულტიკულტურული პროექტი, რომელიც მოიცავს სპორტულ, კულტურულ და მუსიკალურ მოვლენებს. ყოველწლიურად რესპუბლიკას სტუმრობს 100 000-ზე მეტი ადამიანი მსოფლიოს 106 ქვეყნიდან. რესპუბლიკის კონსტიტუციაში წერია, რომ „კაზანტიპს არა აქვს არც საზღვრები, არც ტერიტორიები, ის არის სახელმწიფო, რომელიც დროდადრო გადაადგილდება სივრცეში იქით, სადაც უკეთესია.

როგორც კაზანტიპის პრეზიდენტი ნიკიტა მარშუნოკი განმარტავს, ანაკლიაში 20-30 აგვისტოს დაუვიწყარი დღესასწაული მოეწყობა. ათდღიან ღონისძიებაში 13 ქართველი და 200-მდე უცხოელი მუსიკოსი მიიღებს მონაწილეობას. ზღვისპირეთში ინფრასტრუქტურული სამუშაოები უკვე მიმდინარეობს, მათ შორის, მიმდინარეობს სცენის მონტაჟი და კარვების ქალაქის მშენებლობა. ნიკიტა მარშუნოკის განცხადებით, ანაკლია რამდენიმე კვირაში იქნება ადგილი, სადაც უამრავი ტურისტი ჩავა:

— „კაზანტიპი“ იქნება ანაკლიაში, 20-30 აგვისტოს ჩათვლით. ეს 10 დღე დაუვიწყარი დღესასწაული იქნება. ისეთი, რომელიც ჯერ კიდევ არავის უნახავს. მე გარანტიას გაძლევთ, რომ გრაფიკა, განათება და ყველაფერი, აქ იქნება მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი, ძალიან მაღალი დონის. აქ გაშლილი იქნება კარვების ქალაქი, ველოდებით ძალიან ბევრ ადამიანს. მოხარული ვარ, რომ ამ ღონისძიებისადმი ინტერესი ძალიან დიდია. უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, რომ „კაზანტიპი“ სწორედ ანაკლიაში უნდა ჩატარდეს. აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, მე გარანტიას გაძლევთ, რომ ყველაფერს მოვასწრებთ. კერძო სექტორთან ტურისტების მიღებასთან დაკავშირებით აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს, კარვების ქალაქი კი რამდენიმე ათას ადამიანს მიიღებს. უკვე ცნობილია, რომ ანაკლიის სანაპიროს გემებიც მიადგებიან, რომელსაც ექნებათ ტურისტული დანიშნულება და მსურველებს გემებზე გაჩერება შეეძლებათ. აქვე მინდა კომენტარი გავაკეთო გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომლის თანახმადაც, ამ ღონისძიებაზე თითქოს ნარკოტიკების გამოყენება მოხდება. ეს იქნება ღონისძიება, სადაც კანონის ყველა ნორმა იქნება დაცული და ღონისძიება ყველანაირი ნარკოტიკისგან იქნება თავისუფალი. საქართველო არის ქვეყანა, სადაც კანონები სრულდება. ჩემთვის ყოველგვარი ნარკოტიკი მიუღებელია. ფესტი-


გაგრძელება მე-11 გვერდზე


## ოთო ნემსაძემ ცოლი მოიყვანა



„ჯეოსტარის“ გამარჯვებული ოთო ნემსაძე ოჯახურ უღელში შეება. მან ცოლად თავისი რჩეული მოიყვანა, რომელიც ივლისის დასაწყისში დანიშნა. როგორც ჟურნალისტებისთვის გახდა ცნობილი, ოთოს რჩეულს თათა ჰქვია და განათლება ამერიკაში აქვს მიღებული.

ოთო ნემსაძემ თავის რჩეულს ნიშნობაზე გულის ფორმის ბეჭედი აჩუქა, სამუდამო სიყვარულიც შეფიცა და რამდენიმეთვიანი სიყვარული ოჯახის შექმნით დააგვირგვინა. ოთო და თათა რამდენიმე თვის განმავლობაში იყვნენ შეყვარებულები, საბოლოოდ კი ერთად ცხოვრება გადაწყვიტეს.

ოთომ და თათამ ქორწილი ბეთანიაში ღია ცის ქვეშ გადაიხადეს და ჯვარიც იქვე დაიწერეს. წყვილის ბედნიერება ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმაც გაიზიარეს. სხვადასხვა პროექტის მონაწილეებმა სალომე ბაკურაძემ, მებო ნუცუბიძემ, თიკა მახალდიანმა ახლადშეუღლებულებისთვის სიმღერები შეასრულეს. შეკრებილ სტუმრებს უმღერა ახალბედა სიძემაც. სპეციალურად ქორწილისთვის მისმა ორგანიზატორებმა მოამზადეს ფილმი თათასა და ოთოს შესახებ. ბუნებაში ქორწილი გვიანობამდე გაგრძელდა.

ოთო ნემსაძე „ჯეოსტარში“ გორს წარმოადგენდა და გამარჯვებაც მოიპოვა. მას შემდეგ მომღერალი სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობდა. ერთი პერიოდი ოთო უკრაინაში მოღვაწეობდა, იქაურ „ვოისშიც“ მონაწილეობდა და მეორე ადგილიც დაიკავა. მომღერალმა თავისი სადებიუტო ალბომიც ჩაწერა და ის ოთარ რამიშვილის 75 წლის იუბილეს მიუძღვნა.

ოთოსა და თათას გაბედნიერება სოციალურ ქსელში უამრავმა ადამიანმა მიულოცა. ახლადშეუღლებულებმა უამრავი თბილი სიტყვა და კეთილი სურვილები მიიღეს.

ეკა ირემაშვილი

## იუმორი



***

ექიმი პრაქტიკანტს კარნახობს:

— დაწერეთ: ,,თავის ქალის დაზიანება...“

— იქნებ ქალა-ტვინის დაზიანება ჯობდეს? — ეკითხება პრაქტიკანტი.

— სად აქვს ამას ტვინი... ტვინი რომ ჰქონოდა, ცოლის დაბადების დღეზე საყვარელთან ერთად მივიდოდა?!

***

ავტობუსში მთვრალ მამაკაცს გვერდით მდგომი გოგონა ეუბნება:

— თქვენ ძალიან მთვრალი ხართ.!

მამაკაცი ყურადღებას არ აქცევს. ცოტა ხანში გოგონა ისევ ეუბნება;

— თქვენ საშინლად მთვრალი ხართ!

კაცმა შეხედა და ხმა არ გასცა. გოგონა არ ჩერდება:

— თქვენ საზიზღრად მთვრალი ხართ!

კაცმა გოგონა თავიდან ფეხებამდე აათვალ-ჩაათვალიერა და ეუბნება:

— თქვენ დაგრეხილი ფეხები გაქვთ, არა, საშინლად დაგრეხილი ფეხები გაქვთ!

გოგონამ არაფერი უპასუხა. კაცმა ისევ შეათვალიერა და ეუბნება:

— თქვენ საზიზღრად დაგრეხილი ფეხები გაქვთ! მე კი ხვალ ფხიზელი ვიქნები!!!

***

ცოლ-ქმარი კამათობს, თუ ვინ უნდა გამოიყვანოს ბავშვი საბავშვო ბაღიდან. ქმარი ეუბნება:

— ქურქი გაჩუქე?

— მაჩუქე!

— ზამთრისთვის ჩექმები გაჩუქე?

— მაჩუქე!

— ჰოდა შენ უნდა წახვიდე ბავშვის გამოსაყვანად!

— და შენ რატომ არ უნდა წახვიდე? — ეკითხება ცოლი.

— რითი, წინდებით და პირსაპარსი კრემით?!

***

ორი ახალგაზრდა ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— გუშინ კაცი გავიცანი, სახლში წავიყვანე, თავხედი აღმოჩნდა.

— რატომ?

— მეგონა, მას მხოლოდ სექსი აინტერესებდა.

— აბა, კიდევ რა მოგთხოვა?

— საჭმელი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## h3xცდჯ3ლბ ფ



**შვეულად:** 1; უღელტეხილის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ძველი ქართული დამწერლობა; 3. პირველი ქართული ბალეტი; 4. მექანიკური მუსიკალური საკრავი; 6. მოლაპარაკე ფრინველი; 8. მეფეთა, მღვდელმთავართა ძვირფასი სამოსი; 11. უბანი სოხუმში; 12. ქართული მინერალური წყალი; 16. ბედიღბლიანობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 17. ბერების განცალკევებული სადგომი მონასტერში; 18. სვლის მიმართულება, გეზი.

**თარაზულად:** 1. წელიწადის ერთ-ერთი დრო; 5. ძველებური კაჟიანი თოფი; 7. მოხალისეთა ჯარი; 9. ავტონომიური ოლქი ესპანეთის ჩრდილოეთში; 10. გემის სამზარეულო; 13. ვეშაპის ერთ-ერთი სახეობა; 14. ბრმად თაყვანისცემის უსულო საგანი; 15. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 20. ჩინეთში გამოყვანილი დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 21. ლუდსახარში საქართველოში; 22. ძველბერძენი მოქანდაკე, სკულპტურა „ბადროს მტყორცნელის“ ავტორი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## fcnhjghjuyjpb
### 31 ივლისისთვის

წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **კირჩხიბი** — ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ, ფულიც გექნებათ. **ლომი** — თქვენს ცხოვრებაში სიახლის ჟამი დადგა, მოემზადეთ. **ქალწული** —გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **სასწორი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **მორიელი** — ყურადღების ცენტრში ყოფნა გსიამოვნებთ, სხვები შემოგნატრიან. **მშვილდოსანი** — სწორ გზაზე ხართ, ასე განაგრძეთ. **თხის რქა** — დაისვენეთ და გაერთეთ, არ გადაიღალოთ. **მერწყული** — მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თევზები** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან.

უბცე3ედტ,ს ,ტლყბტ3 ლქტც=